რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 13 ოქტომბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—50 კაპ., მეოთხე გვერდზე—25 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ფოსტით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". [illegible] ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 169 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 169

ამხანაგებო და მოქალაქენო!

რ. ს.-დ. მ. პარტიის თფილისის კომიტეტმა უკვე დაიწყო დამფუძნებელი კრების კამპანია. დაიჩქარეთ გაიღოთ თქვენი წვლილი საარჩევნო ფონდისათვის. შემოწირულება მიიღება, როგორც თფილისის კომიტეტის ბიუროში, გოლოვინის პროსპექტი № 12, მდივანთან, აგრეთვე ყველა რაიონულ კოლექტივებში.

თფილისის კომიტეტი რ. ს.-დ. მუშათა პარტიისა.

პური

21 ოქტომბრიდან პური კოლექტიურ ბარათებით მიეცემა

აგვისტოს რიცხვის ტალონებით.

(3—1)

ქალაქის სასურსათო გამგეობა.

სავალდებულო დადგენილება

თფილისის გუბერნიის სასურსათო გამგეობისა

ამით მტკიცდება შემდეგი ნიხრი იმ ფარჩეულ საქონელზე, რომელსაც თანახმად ვაჭრობა-მრეწველობის მინ. განკარგულებისა 20 ივლისიდან 1917 წლისა მუხლი 13 § Г საფაბრიკო იარლიკზე არ უქნება აღნიშნული ფაბრიკის ფასი, რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს საფაბრიკო პრეისკურანტში იმ კომიტეტის მიერ, რომელსაც დაკისრებული აქვს განაგოს საფეიქრო ფაბრიკების დაუმუშავებელი მასალით უზრუნველყოფა.

სახელწოდება ფარჩ.	ბითუმ.	ნაჭრობ.
ჩითი 4/4 [illegible] (სამ.)	78 კ.	90 კ.
„ „ ღია (ფრანსუზ.)	82 „	95 „
„ „ თეთრი „	86 „	1 მ. —
სატინი „ ერთფერი	1 მ. 26 „	1 „ 45 „
„ 4/5 „	1 „ 74 „	2 „ —
ბატისტი 5/4 „	1 „ 20 „	1 „ 40 „
მადაპოლამი 4/4 „	1 „ —	1 „ 15 „
„ 5/4 „	1 „ 40 „	1 „ 60 „
ოქსფორდი	1 „ 12 „	1 „ 30 „
კრეტონი საცვლის 4/4	— 96 „	1 „ 10 „
„ „ 5/4	1 „ 04 „	1 „ 20 „
მიტკალი სქელი 15 ვერშ.	— 70 „	— 80 „
„ „ 16 „	— 76 „	— 88 „
„ „ 18 „	— 82 „	— 95 „
„ „ 20 „	— 86 „	1 „ —
ნარმა სქელი 13 „	— 74 „	— 85 „
„ „ 14 „	— 78 „	— 90 „

სახელწოდება ფარჩ.	ბითუმ.	ნაჭრობ.
ნარმა სქელი 15 ვერშ.	— 82 „	— 95 „
„ „ 16 „	— 86 „	1 „ —
„ „ 18 „	— 90 „	1 „ 05 „
„ „ 20 „	— 95 „	1 „ 10 „
ნარმა თეთრი 15 ვერშ.	— 90	1 „ 05 „
„ „ 16 „	— 95	1 „ 10 „
„ „ 18 „	1 —	1 „ 15 „
„ „ 20 „	1 04	1 „ 20 „
ნარმა კუბ. (ფერად.) № 3	1 04	1 „ 20 „
„ „ № 4	1 08	1 „ 25 „
„ „ 18 ვერშ.	1 13	1 „ 30 „
ბამბაზია „ 5/4 ვერშ.	1 22	1 „ 40 „
სლამა	1 04	1 „ 20 „
„ „ პრიმა	1 30	1 „ 50 „
„ „ შევიოტი	1 52	1 „ 75 „
ბაიკა [illegible]	2 18	2 „ 50 „
„ [illegible]	3 25	3 „ 75 „

2) დანარჩენი ბამბეული ფარჩეული, აგრეთვე ტილოს, შალის და აბრეშუმის საქონელი უნდა შეფასდეს და გაიყიდოს თანახმად ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის სავალდებულო დადგენილებისა 20 ივლისიდან 1917 წლისა §§ 7, 8, 14 და 15 და სასურსათო საქმეთა მინისტრის დადგენილებისა 31 ივლისიდან 1917 წლ. № 184. § 5.

3) საქონლის ფასის დასამტკიცებლად და დასარწმუნებლად საკმარისია ანგარიშები ფირმებისა ფაბრიკის ბლანკზე, რომელსაც განსაზღვრული სავაჭრო ადგილი აქვს.

4) დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილებების დარღვევაში, პასუხს აგებენ 29 მუხლის ძალით (კანონთა კრებული ტომი 15 გამოცემა 1914 წ.) რომელიც ეხება მომრიგებ. მოსამართლის მიერ და გადასინჯულია დროებითი მთავრობის მიერ 17 მარტს 1917 წ.

5) ეს დადგენილება სპობს აგრეთვე დადგენილებას 2 ივლისიდან ამა წლისა და ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

გუბერნიის სასურსათო გამგეობა.

ბიურო

მეოთხე რაიონულ კოლექტივის რ. ს.-დ. მ. პ. მოთავსებულია მე 6 სავაჟო გიმნაზიაში (უდელნის ქ. № 3) აქ შეიძლება გამოწერა გაზეთებისა: „ერთობა", „ბორბა" და „ფიქრი". იყიდება სხვა და სხვა ბროშურები. ბიურო ღიაა ყოველ-დღე: 4-დან 8 ს-დე.

ჩერქეზიშვილის მოედანზე, ყოფილ სადარაჯოში ნემეცების სკვერთან მოთავსებულია რ. ს.-დ. მ. პ. მეცხრე უბნის კოლექტივის

ბიურო და კიოსკი

სადაც შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა, მიიღება ხელის მოწერა გაზეთებზე: „ერთობა", „ბორბა" და „ფიქრი" იყიდება გაზეთები და წიგნები. ბიურო ღიაა საღ. 6—9 საათამდე.

მარქსისტ-მოწაფეთა.

თფილისის კოლექტივი ამიერ კავკასიის მარქსისტ მოწაფეთა კავშირისა სთხოვს პროვინციელ ამხანაგებს შეატყობინონ მას დაწვრილებითი ადრესი ადგილობრივ კოლექტივთა ბიუროებისა შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Удѣльная ул № 3. 6-ая мужская гимназія, Бюро тифл. колл. С. У. М. З.

საჭიროა გაზეთის დამტარებლები

ხელის მომწერლებისათვის.

მსურველს შეუძლია მიმართოს რ. ს.-დ. მ. პ. თფ. ორგ. მეორე რაიონის კოლექტივის ბიუროს დილის 9—2 ს-დე და საღ. 5—8 ს-დე.

შაბათს, 8 ოქტომბერს

დავკარგე

ტრამვაის ვაგონში საფულე, რომელშიაც გარდა ფულისა იყო ვექსილები გაფორმებული, ამიერ კავკასიის ბანკისა,—20,000 მანეთისა, ნოე გლახ. სიხარულიძის მიერ ხელმოწერილი. და სხ. დოკუმენტები. მპოვნელს ვთხოვ ფული დაიტოვოს, ხოლო დოკუმენტები და ვექსილები გამომიგზავნოს ამ ადრესით: თბილისი, ველიამინოვის ქუჩა № 3, სტამბა ბათლ. კილაძე.

ოზურგეთის

გაზეთის აგენტურა გადავეცა 1 სექტემბრიდან მ. ზ. თალაკვაძეს. ვისაც გაზეთების გამოწერა უნდა მიმართონ ხსენებულ პირს. ვთხოვ ყველა იმ პირებს, რომლებსაც გაზეთი გამოწერილი ქონდა და ფული არ გადაუხდიათ შემოიტანონ დაჩქარებით თალაკვაძესთან. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული გავხდები მათი სახელი და გვარი გაზეთებში გამოვაცხადო.

გ. ბ. დოლონტი.

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 ს.-მდე.—ვენერიულ-სიფილისის წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით ავადმყოფთ, სიფილისიანთ, ციებიანებს და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.

მისამართი: ფესანაურის შესახ. № 3, (1-ლი სამილიციო ნაწილი).

(24—15)

„სოციალური რესპუბლიკა"

პირველად ასეთი ლოზუნგი საფრანგეთის პროლეტარიატმა წამოაყენა 1848 წლის რევოლიუციაში. მისი ავტორი და მქადაგებელი ცნობილი უტოპისტი ლუი ბლანი იყო. მას ეგონა, რომ შრომის ორგანიზაციით და შრომის უფლების აღიარებით მუშათა საკითხი გადიჭრებოდა და მშრომელი კლასის დამორჩილებულ მდგომარეობას ბოლო მოეღებოდა.

რევოლიუციონურ ხანაში მაქსიმალიზმი ბუნებრივი მოვლენაა. მუშათა კლასი ყოველ რევოლიუციის დროს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ საფეხურზე ასულა საწარმოო ძალთა განვითარება, ყოველთვის აყენებს საკითხს კერძო საკუთრების შესახებ, ე. ი. ცდილობს გადალახოს კაპიტალისტური წყობილების ზღუდე, თუნდაც სამისოთ ობიექტიური მატერიალური პირობები მომწიფებული არ იყოს.

მაგრამ ასეთი მისწრაფება იბადება უმეტეს შემთხვევაში უსუსურ ფორმაში, უტოპიურ სურვილებში, რომელნიც ბოლოს და ბოლოს იწვევენ თვით მუშათა კლასის განმარტოვებას და დამარცხებას.

ასე მოუვიდა 1848 წელს საფრანგეთის პროლეტარიატს. ავანგარდის როლმა რევოლიუციაში ისე გაიტაცა იგი, რომ მან „სოციალური რესპუბლიკა", ესე იგი მუშათა რესპუბლიკა მოითხოვა. შედეგები ასეთი გატაცების ყველამ იცის,—ივნისის დღეებმა სისხლით მორწყო პარიზის ქუჩები:—ეს იყო მუშათა სისხლი, მხოლოდ დამფუძნებელი კრება, რომელიც რევოლიუციამ წარმოშვა,—დემოკრატიულ ელემენტების, უმთავრესათ, წვრილ მესაკუთრე გლეხების წყალობით, რომელნიც ჩამოშორდნენ პროლეტარიატს, რეაქციონურ დაწესებულებათ გადაიქცა.

ისტორია გვასწავლის. ისტორიის გაკვეთილი ჩვენთვის ბევრის სასწავლებელია. მაგრამ ჩვენ ბოლშევიკებს საამისოთ, როგორც სჩანს, არ სცალიათ. მათმა ლიდერმა ლენინმა ჯერ კიდევ თავის ჩამოსვლის პირველ დღეებში განაცხადა: „ჩვენ გვინდა არა პარლამენტარული რესპუბლიკა, არამედ სოციალური, ესე იგი მუშათა, სალდათთა და მოჯამაგირეთა საბჭოების რესპუბლიკა". და მთელი შემდეგი პოლიტიკა ბოლშევიზმის ამ ძირითადი ტენდენციით იყო გამოწვეული. ამ ტენდენციას შეეფერება მოთხოვნა: მუშათა კონტროლი წარმოებაში, გლეხების კონტროლი მიწის მუშაობაში, რაიც აგრეთვე შრომის ორგანიზაციის მოწყობისკენ მისწრაფის.

მართალია, აქ შრომის ორგანიზაციაში მუშების გვერდით გლეხებიც არის თითქოს ჩათრეული. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამ ორი კლასის ეკონომიური მდგომარეობა დღეს დიდათ განსხვავდება ერთმანეთისაგან და რომ ნამდვილი მნიშვნელობა კონტროლს აქვს მხოლოდ ქალაქში. სოფლათ მთელი მიწა გლეხებს უნდა გადაეცეს და, ცხადია, კონტროლი ზედმეტია. მხოლოდ ქალაქში ქარხნების გადაცემა მუშებზე დღის წესრიგში არ დგას და ამიტომ მუშათა კონტროლი არსებითათ ეწინააღმდეგება მთელ არსებულ წყობილებას.

ამგვარათ ლენინი იმეორებს ლუი ბლანს. განსხვავება კი ისტორიაში კარიკატურულ სახეს იღებს და ლენინის კარიკატურაც ვერ ასცდა ამ საერთო ბედს. ანარქიული დატაცება ქარხნების, ამის უტყუარი მაჩვენებელია, მაგრამ ამით მუშათა კლასი მხოლოდ იზარალებს.

ამავე აზრის განვითარებას წარმოადგენს მოთხოვნა: „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს", რომელიც ბოლშევიკებმა მორიგ საკითხათ წამოაყენეს საბჭოთა მომავალ ყრილობისთვის (20 ოქტომბერს).

ბოლშევიკების აზრით ამ ლოზუნგის განხორციელებას მიზნათ აქვს: დამფუძნებელი კრების დაუყონებლივ მოწვევის უზრუნველყოფა, რადიკალურ რეფორმების ცხოვრებაში გატარება და სხვ. მარა ყველა ეს მხოლოდ სიტყვებია, [illegible]. ნამდვილათ კი ყოველი ორგანიზაცია ემსახურება იმ ტენდენციებს, რომელიც მის ბუნებაშია ჩასახული. საბჭოთა რესპუბლიკა კი „ამ მხრით ლუი ბლანის, სოციალურ რესპუბლიკის" ახლოა.

ამას გრძნობენ თვით ბოლშევიკებიც. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლენინი წინააღმდეგი იყო პარლამენტარული რესპუბლიკის, და მაშასადამე, დამფუძნებელი კრების. მარა დღეს ბოლშევიკები ასე პირწმინდათ ამის წამოყენებას ვერ ბედავენ, რადგან დამფუძნებელ კრებას დიდი გავლენა აქვს უკვე ხალხში მოპოვებული. ამიტომ ახლა ისინი ქადაგობენ: დამფუძნებელი კრების კომბინაციას საბჭოებთან, მათ შორის ერთგვარი კონტაქტის, თანხმობის დამყარებას.

ეს თითქო კომპრომისია, მარა კომპრომისი შინაგან წინააღმდეგობით სავსე და სამოქალაქო ომის მომასწავებელი.

დამფუძნებელი კრება სუვერენია, ე. ი. უმაღლესი უფლებით მოსილი. საბჭოები ერთი ნაწილის წარმომადგენლობაა და განა პირველი მეორეს გაუნაწილებს თავის უფლებებს? ცხადია არა. მაშასადამე კომპრომისი შეიძლება ორი გზით, ან საბჭოების მიერ დამფუძნებელ კრებაში შიგნიდან გაბატონებით, ან გარედან მისი დამორჩილებით. პირველი ძნელი წარმოსადგენია. მეორე კი შეიძლება შედეგათ მოყვეს მხოლოდ მოქალაქეობრივი ომიდან საბჭოების გამარჯვებას, რაც აგრეთვე შეუძლებელია.

ეს კარგათ უნდა ესმოდეთ თვით ბოლშევიკებსაც და თუ ისინი მაინც ამ კარიკატურულ კომპრომისს ეპოტინებიან—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ უნდათ თავის უტოპიას გამოეთხოვონ.

სოციალ-დემოკრატია, რომელიც მუშათა კლასის არა მარტო დღევანდელ, არამედ ამასთანავე სამერმისო ინტერესების გამომხატველია, ამ გზას ვერ გაჰყვება. ყოველ შემთხვევაში მისი მარქსისტული ნაწილისთვის ასეთი კონცეპცია ყოვლად შეუწყნარებელია.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასეთი უტოპია წარმოსდგება თვით მუშათა კლასის სტიქიისაგან, მარა ესაა სტიქია განუვითარებელი, კლასობრივ შეგნებას და მტკიცე კლასობრივ ორგანიზაციაში გაერთიანებას მოკლებული მუშათა კლასის.

ტენდენცია სოციალიზმისაკენ მისწრაფების სწორია. მარა მისი გამოხატულება, ხერხები და საშუალებები სადღეისო ფორმა ამ მისწრაფების, მუშათა მოძრაობის პირვანდელ საფეხურს ახასიათებს. იგი ქაოტიურია, მასში შეუმჩნეველია, უტოპიურია. იგი ცდილობს მხოლოდ ენტუზიაზმის საშუალებით გაეკვალოს, რისთვისაც საჭიროა ხანგრძლივი გამოცდილება, დიდი ხნის ორგანიზაციული მზადება და შეკავშირებული მუშაობა.

მარქსიზმს ანბანს შეადგენს დებულება, რომ მუშათა კლასის ძალა და ძლიერება იმის ორგანიზაციულ კავშირსა და პოლიტიკურ გაწრთვნაშია. ეს კი დღევანდელ რუსეთის მუშათა კლასს საკმარისათ არ მოეპოვება.

მაშასადამე, არც ობიექტური პირობები, არც სუბიექტური დონე, დაუყონებლივ სოციალისტური ექსპერიმენტების დასაწყები ჩვენ არა გვაქვს. მარტო სტიქიურ ენტუზიაზმზე დაყრდნობა—კი ანარქისტების ხელობაა, და არა სოციალ-დემოკრატების.

ეს არ უნდა დაივიწყონ სოციალ-დემოკრატმა მუშებმა. მათი მოვალეობაა მუშათა სტიქიურ მოძრაობაში რეგულიატორის როლი ითამაშონ, მასში მეტი შეგნებითი ხასიათი შეიტანონ, უტოპიურ ტენდენციებს შეებრძოლონ, რეალური და სწორი ხაზი პირველ რიგზე წამოაყენონ, და ასე მასის სოციალისტურ მიდრეკილებას ნამდვილი კლასობრივი სახე და ფორმა მისცენ.

მხოლოდ ამით შეიძლება სტიქიის გამოყენება მუშათა კლასის სასარგებლოთ.

ამიერ-კავკასიის ერობა

მეფის მთავრობის დამხობით ადგილობრივ თვითმართველობას ფართო ასპარეზი გაეხსნა. თვითმპყრობელობა ძლიერი იყო სასტიკი ცენტრალიზმით, ხოლო დემოკრატიის ძალა-გავლენა ადგილობრივ ორგანოთა თვითმოქმედებაზე შენდება. ამიტომაც არის დღიდან რევოლიუციის მართვა-გამგეობა ყველგან ადგილობრივ დემოკრატიულ დაწესებულებათა ხელში გადავიდა. ამიტომ მთელ რუსეთში ქალაქთა დემოკრატიული თვითმართველობა მოქმედებს. ახლო მომავალში საერობო დაწესებულებათა დემოკრატიზაციაც უნდა დამთავრდეს. ერობა უკვე შემოიღეს ციმბირში, შემოაქვთ შუა აზიის ოლქებშიც.

გამონაკლისს დღემდის ამიერ-კავკასია შეადგენდა. აქ უკანასკნელ ხანებში სასტიკი ეროვნული ბრძოლა წარმოებს. სწორეთ ეს გარემოება უშლიდა ხელს რევოლიუციის შემდეგ საერობო დაწესებულებათა შემოღებას კავკასიაში. დიდი ხანია, რაც ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა რევოლიუციონური დემოკრატიის მოთხოვნილების თანახმად დაადგინა ჩვენში ერობის შემოღება. მარა მის სისრულეში მოყვანას წინ გადაუდგა ერთი გარემოება. სომხის ნაციონალისტურმა პარტიებმა დაშნაკცუტიუნის მეთაურობით მოითხოვეს ერობის შემოღებამდე ადმინისტრატიული გადამიჯვნის მოხდენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ერობაზე უარს ამბობდნენ. მათ დაივიწყეს, რომ ერობა ადმინისტრატიული გადამიჯვნის საქმეშიც რევოლიუციონურ დემოკრატიას დიდ დახმარებას აღმოუჩენდა. საჭიროა ადგილობრივი პირობების ზედმიწევნით შესწავლა, ხოლო ეს უპირველესათ თვით ერობას შეეძლო.

მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი შეიქნა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას უკანასკნელ დროის, როცა ყველგან ანარქია იზრდება, ყაჩაღობა ძლიერდება და მით რევოლიუცია საფრთხეში ვარდება. ამის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებაა დემოკრატიული ერობის შემოღება. სწორეთ ასეთი გზა აირჩია ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა, მას განზრახული აქვს ერობის შემოღება ყველა იმ ადგილებში, სადაც ადმინისტრატიული გადამიჯვნა საჭირო არ არის. ასეთია ქუთაისის გუბერნია, ბათუმის და სოხუმის ოლქები, თფილისის გუბერნიის დიდი ნაწილი, ზაქათალის ოლქი და ბაქოს გუბერნია. შემოიღეთ ერობა ამ ადგილებში, ამით რევოლიუცია ამიერ-კავკასიაში მტკიცე საფუძველს მიიპოვებს. ეს ხელს შეუწყობს ადმინისტრატიული გადამიჯვნის დაჩქარებას განჯისა და ერევნის გუბერნიებში. ეს კიდევ ცოტაა. ერობის შემოღება საუკეთესო საშუალებაა ეროვნული საკითხის გადაჭრის დასაჩქარებლათ. როცა ამიერ-კავკასიაში ყველგან შემოღებული იქნება დემოკრატიული ერობა, როცა დამთავრდება ადმინისტრატიული გადამიჯვნა ეროვნული შემადგენლობის და მიხედვით, ამით ნაციონალური საკითხის გადაჭრა გაადვილდება.

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის განზრახვას. ის ხელს შეუწყობს რევოლიუციის განმტკიცებას და ეროვნული ბრძოლის განელებას. რევოლიუციონური დემოკრატია ვალდებულია მთელი თავისი ძალ-ღონით ეცადოს საერობო დაწესებულებათა შემოღებას და დააჩქაროს ეროვნებათა შეთანხმება ადმინისტრატიული გადამიჯვნის ნიადაგზე. კითხვა საბოლოოთ გადაწყდება საგანგებო თათბირზე, რომელსაც ამიერ-კავკასიის კომიტეტი ხვალ იწვევს რევოლიუციონური ორგანოების თანადასწრებით. ამიერ-კავკასიაში დაუყოვნებლივ შემოღებულ უნდა იქნას ერობა. ეს ჩვენში რევოლიუციის განმტკიცება იქნება.

პრესა

გაზეთ „ალიონს" ერთი მთავარი თემა აქვს გასარკვევათ მიღებული—ესაა ეროვნული საკითხი. ამ საკითხის გარშემო შემოკრება ის ჯგუფი, რომელიც ამ გაზეთს ხელმძღვანელობს. და სწორეთ ამ საგანში განსაკუთრებული შეხედულება დაედვა საფუძვლათ მის არსებობას.

დანარჩენ კითხვებში ამ ბოლო დრომდე მაინც იგი შეძლებისდაგვარათ სიწორით მისდევდა საერთო მიმდინარეობას. უკანასკნელ ხანებში, ამ გაზეთს ერთი სენი დაჩემდა. იგი შეუდგა წუწუნს იმის გამო, რომ მის აზრებს შესაფერი გასავალი არა აქვს და ამის მიზეზათ სოციალ-დემოკრატიის ასახელებს. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს საოლქო ყრილობაზე

საერთაშორისო ომი

ჩრდილოეთ ფრონტზე კარგა ხანია ბრძოლა შეჩერდა. ბრძოლა შეჩერებულია აგრეთვე რუმინიის ფრონტზედაც.

კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

ბალტიის ზღვაზე სიწყნარეა.

საფრანგეთში—ინგლისის ფრონტზე, დიდი ბრძოლა მოხდა. აქ საფრანგეთ-ინგლისის ჯარმა გაიმარჯვა და დაფუს წისქვილის ჩრდილოეთით 8 კილომეტრის მანძილით წინ წაიწიეს. მრავალი სამხედრო ტყვეები და საომარი მასალა ჩაიგდეს ხელში. ბრძოლა სწარმოებს.

იტალია-ავსტრიის ფრონტზე ჩვეულებრივი ბრძოლაა.

ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმართველობის პრინციპი კავკასიის ერთათვის, მაშასადამე ქართველთათვისაც. ეს თავის დროზე არ აკმაყოფილებდა და არც დღეს აკმაყოფილებს „ალიონის“ სულის ჩამდგმელთ. მათი სურვილია სოციალ-დემოკრატიამ ფერი იცვალოს და „ალიონისტურად“ ნაციონალურ ჰანგზე დაიწყოს სიმღერა. ამიტომ თითქმის ყოველ ნომერში გვაყვედრიან არ ქადაგებთ ეროვნულ თვითმართველობას ყოველ მიტინგზეო. ვინმე სიხარულიძე ფედერალისტების მიერ ძველათვე შეთითხნილ ჭორს იმეორებს, თითქო სოციალ-დემოკრატებს ექადაგებოდეს ავტონომია—ეს ბატონ-ყმობის აღდგენააო. აი მოისმინეთ:

„ეროვნული საკითხის ათვალწუნება, ისევე პარტიული ამხანაგების ბრალია—ისინი ისე უხსნიდენ ხალხს, თითქო ავტონომია ანუ ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმართველობა—ეს რუსეთთან კავშირის შეწყვეტას, საქართველოს ცალკე სახელმწიფოთ გამოცხადებას გულისხმობს, ამგვარათ ასწავლიდენ ეროვნულ საკითხს გურულებს ჩვენი ამხანაგების დიდი უმეტესობა“...

და აი შემდეგიც შესაფერი მოყოლია ამ ქადაგებას:

„ხშირათ გესმის გურულ კაცისგან: თურმე ავტონომია—ეს ფედერალისტებმა მოიგონეს, რომ ბატონყმობა შექმნანო“, ასე ესმის გურულს ავტონომიის მნიშვნელობა“ („ალიონი“ № 48).

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს კარიკატურაა გურიის ცხოვრებიდან და არა მისი ტიპიური სურათი. რასაკვირველია, უვიცი და შეუგნებელი გურიაშიც ბევრია, მარა იმის თქმა, თითქოს მოწინავე ნაწილს გურიაში ასეთი შეხედულება ქონდეს, ეს გურულებზე პირდაპირ ჭორის გავრცელებაა. საკვირველია რათ დასჭირდა ავტორს, ფედერალისტურ ჰანგზე აღლირება და რატომ მოყვა ასეთ კარიკატურულ სურათების გადმობეჭდვას მათი ორგანოებიდან? ნუ თუ ესეც ეროვნულ თავისუფლების სამსახურათ მიაჩნია ამ ორგანოს?

გვისაყვედურებენ პროგრამის ქადაგებაზე, საკვირველი საყვედურია. მაშ ვინ ქადაგებს ჩვენ პროგრამას, და ვინ ავრცელებს ჩვენს დადგენილებებს? ცხადია ისევ პარტია და მისი პროპაგანდისტები. მარა ეს ქადაგება ვერ იქნება „ალიონის“ აზრით განმეორება; და ალბათ ეს აჯავრებს პატივცემულ ავტორს. აბა როგორ შეუძლია სოციალდემოკრატიას მიიღოს და იქადაგოს შემდეგი დებულება, რომელიც იმავე ნომერშია მოყვანილი:

„ყველა ერის დემოკრატიას ხელთ უნდა ეპყრას ინტერნაციონალური დროშაც ეროვნულ უფლების დაცვასთან ერთათ. ის ეროვნულ-ინტერნაციონალური (ხაზი ჩვენია) დროშით უნდა გამოდიოდეს“.

როგორც ხედავთ, ავტორი გვირჩევს ჩვენი ნაცადი, ძველი ინტერნაციონალური გზა, რომელიც ერის საუკეთესო დამცველია, დავთმოთ და მის მაგიერ ეროვნულ-ინტერნაციონალური მივიღოთ, ე. ი. ლოღიკური და პოლიტიკური აბსურდი შევითვისოთ: ავტორს, ჩანს არ ესმის, რომ ინტერნაციონალური დროშა იმავე დროს არის საუკეთესო დამცველი ერის ინტერესების, და რომ ის ამ მხრივ არავითარ კორექტივებს არ საჭიროებს. ხოლო თუ ესმის და მაინც ინტერნაციონალურ დროშაზე ეროვნულის მიწებებას თხოულობს, ცხადია მას სურ სოციალდემოკრატია ეკლეკტიზმის გზაზე დააყენოს და ჩვენი სეპარატისტების რიგში აკისრებინოს. ე. ი. იგი მარქსისტულ, ინტერნაციონალურ გზას აცილოს. აშკარაა, ჩვენ ამ გზით ვერ ვივლით.

⁂

იმავე ნომერში გაზეთის მეპრესე გვიკიჟინებს ორმაგ პოლიტიკური ბუხგალტერიის წარმოებას: რაშია საქმე?

სომხების ეროვნულ ყრილობას თურმე აურჩევია 5 ოქტომბერს უხუცესთა საბჭო, რომელშიაც ერთი ს.-დ. შედის. გაზეთის მეპრესეს, რომელსაც ყველგან და ყველაფერში ნაციონალური ორგანო ელანდება, ეს უხუცესთა საბჭო ქართულ ინტერპარტიულ საბჭოსებურ დაწესებულებათ მიუჩნევია და გაიძახის: თქვენ ქართველ სოციალ-დემოკრატებს უშლით ინტერპარტიულ საბჭოში მონაწილეობას და სომხებს კი აგზავნით სომხურ ანალოგიურ დაწესებულებაშიო. უნდა მოვახსენოთ პატივცემულ მეპრესეს, რომ ასეთი უხუცესთა საბჭო თფილისის ქალაქის საბჭოშიაც არსებობს, პეტროგრადის დროებით რესპუბლიკანურ საბჭომაც აირჩია, სახ. დუმაშიაც იყო. ეს არის ინფორმაციული დაწესებულება ფრაქციათა შორის, რომლის მიზანია კრებულის მუშაობას მწყობრი ხასიათი მისცეს, არც მეტი არც ნაკლები.

რა აქვს საერთო ამას ინტერპარტიულ საბჭოსთან, რომელიც საერთო პოლიტიკურ პლატფორმას იმუშავებს სამოქმედოთ და თითქმის ეროვნულ მთავრობის როლის ხელში აღებასაც ცდილობს? ცხადია არაფერი.

ახლა გვიბრძანეთ, ჩვენ ვყოფილვართ ორმაგი პოლიტიკური ბუხგალტერიის მოტრფიალე, თუ თქვენი მეპრესე ყოფილა აცეცებული და წინდაუხედავი მწერალი?

დეპეშები

(პ. დ. ს. 11 ოქტომბერი).

მატარებლის დამტვრევა.

თემირ-ხან-შურა. ვლადიკავკასიის რკინის გზის სადგურ პეტროვსკთან დაიმტვრა სამგზავრო მატარებელი. მოკლულია სამი მგზავრი, დაჭრილი 7.

ფარმაცევტების გაფიცვა.

კიევი. 10 ოქტომბერს კიევში გაიფიცნენ ადგილობრივ აფთიაქების ფარმაცევტები.

დეპუტატთა პალატაში.

პარიზი. დეპუტატთა პალატამ თავის კრებაზე მიიღო მორიგ საქმეზე გადასვლის ფორმულის შემდეგი ტექსტი: ღრმათ დარწმუნებულნი, რომ მხოლოდ მოკავშირეებთან მჭიდრო დიპლომატიურ და სამხედრო კავშირს შეუძლია მიგვანიჭოს გამარჯვება და შეურყეველი ზავი, რომ მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა მიზეზი მიგვეცა ქვეყნისთვის ასეთ დიდ მიზნისთვის ყურადღება არ მიექცია, საფრანგეთის დეპუტატთა პალატა მუხლს იდრეკს რესპუბლიკის და მოკავშირეთა ჯარების გმირობის წინაშე, ნდობას უცხადებს მთავრობას და გადადის მორიგ საქმეებზე.

ეზელის ამბავი.

გელსინგფორსი. კუნძულ ეზელიდან დაბრუნებული არტილერისტები შემდეგს გადმოგვცემენ იქ მომხდარ ბრძოლის შესახებ: ეზელზე იყო სვეაბორგის ციხის სამი ბატარეა, რომელსაც პოზიცია ეჭირა ტაგელახტში და კილკონდში; 29 სექტემბერს გერმანელებმა ჯარი გადმოსხეს ტაგელახტში და მუსტიალში რიცხვით სამი ბატალიონი, ხოლო საღამოზე 6 ათასი კაცი გადმოიყვანეს. მათ გადასჭრეს ტელეფონის მავთულები და წავიდნენ არენსბურგისკენ. ჩვენი ზღვის ბატარეა გერმანელთა დრედნოუტმა მტვრათ აქცია. საველე არტილერიის ბატარეა 4 საათს გაუმაგრდა და შემდეგ უკან დაიხია. ზოგიერთი ზარბაზანი გზაში დაამტვრეს, რადგან ცხენები დაეხოცათ. ზღვის პირის ბატარეა გმირულად იბრძოდა.

დარბევა.

ჟიტომირი. დაამტვრიეს და გაძარცვეს მაღაზიები. ბევრი უსახლკაროთ და უმწეოთ დარჩა, ქალაქის საბჭო აწყობს დაზარალებულთა დახმარების საქმეს.

ქარხნების დახურვა.

პეტროგრადი. რადგან რეველის ქარხანა „ვოლტა“-ს მუშებმა უარი სთქვეს ქარხნის გადასატანათ მუშაობაზე, ქარხნის გამგეობამ შეუძლებლათ სცნო რეველში ქარხნის მუშაობის გაგრძელება და გადასწყვიტა მათი დახურვა.

რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

(პ. დ. ს)

ზღვათა მინისტრის ვერხოვსკის შემდეგ ილაპარაკა ალექსეევმა. ის შეეხო რუსეთის დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობას. რუსეთის ხალხის უმრავლესობა ერთმა დამღუპველმა აზრმა შეიპყრო, რომ ჩვენ ომის გაგრძელება აღარ შეგვიძლია და საჭიროა დაუყოვნებლივ ზავი ჩამოვაგდოთ,—ამბობს ალექსეევი. ორატორის აზრით დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდება გაჭირვებულ მდგომარეობიდან რუსეთს ვერ დაიხსნის. რუსეთს შეუძლია, თუ კი მოინდომებს, გაუმკლავდეს ამ გაჭირვებას, ამისთვის საჭიროა ხალხის სულიერათ გამაგრება. საჭიროა მუშაობა უპირველეს ყოვლისა ჯარში. ჯარის შესახებ ალექსეევმა სთქვა, რომ ის ჯერ ავათ არის. ამ ავათმყოფობის მიზეზი არის უდისციპლინობა. დაუყოვნებლივ უნდა აღდგენილ იქნეს ჯარში დისციპლინა. „გამარჯვებისთვის ბრძოლა,—ამბობს ალექსეევი,—რუსეთის ხსნა არის, ამიტომ ჩვენი მიზანი უნდა იყოს ჯარის გამოცოცხლება, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის ხალხი მოკვდება“ (მარჯვნივ ტაში).

მარტოვი ალექსეევის წინააღმდეგ ამბობს, რომ ჯარის დასუსტება, რასაც გახრწნას უწოდებენ, რუსეთის რევოლუციის ბრალი არ არის, არამედ ეს ჯარი ამ მდგომარეობაში ჩააბარა რევოლუციას მეფის მთავრობამ. ჯარის გახრწნის მიზეზათ მარტოვი დროებით მთავრობას თვლის, რადგან მან არ შეასრულა დაპირება მიწებისა და სხვა რეფორმების შესახებ, აგრეთვე მთავრობის ორპირ პოლიტიკას, რასაც შედეგათ მოჰყვა კორნილოვის შეთქმულება. დასასრულ მარტოვს შემოაქვს ინტერნაციონალისტების სახელით შემდეგი მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა, სადაც აღნიშნულია ჯარის ხელმძღვანელთა გაწმენდა და მისი დემოკრატიზაციის საჭიროება, სიკვდილით დასჯის გაუქმება და დაუყოვნებლივ ზავის შესახებ მოლაპარაკების დაწყება. (ტაში მარცხნით). მარტოვის შემდეგ ვრცელ სიტყვას ამბობს მინისტრი თავმჯდომარე **კერენსკი.** ის ეხება ჯარის ორგანიზაციის საკითხს და ამბობს, რომ სახელმწიფოს სამხედრო ძალას ერთად ერთი მიზანი ჰქონდა და აქვს, რუსეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვა, დაცვა რევოლუციის მიერ მოპოვებულ უფლებების და დემოკრატიულ წესწყობილების თავდასხმისაგან, სულ ერთია საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს ის. მთავრობა თავის დღეში იმ აზრისარ ყოფილა, რომ ჯარს შეძლებულ კლასთა ინტერესები დაეცვა, არც იმისი, რომ უმცირესობის იარაღათ გამხდარიყო, თუნდაც დემოკრატიულის, რომ თავის ნება ძალით მოეხვია ხალხისათვის. რუსეთის ჯარი ემსახურება დემოკრატიულ სახელმწიფოს.

მეფის მთავრობა დაეცა იმიტომ, რომ ჯარმა და მისმა ხელმძღვანელებმა მას მხარი არ დაუჭირა, რევოლუციის საჭიროების დროს მთელი ჯარი მიეხმარა, ცოტა გამონაკლისით. შემდეგ კერენსკი ვრცლად ეხება ჯარის მდგომარეობას და მის სულიერ განწყობილებას და კორნილოვის აჯანყებას, რომელიც ჩააქრო მთავრობამ, რომლის გარშემო შემოკრბა მთელი დემოკრატია. შემდეგ კერენსკი ვრცლად ეხება ჯარების საკითხს, ახასიათებს ჯარის დღევანდელ მდგომარეობას და ამბობს, რომ ამის მიზეზი მრავალი იყო. მთავრობა ყოველივე ღონეს ხმარობს გამოაცოცხლოს ჯარი, შეიტანოს შიგ შეგნება და იმედია ახლო მომავალში ისეთ საზიზღარ ამბებს, რომლებიც ამ ცოტა ხანში დატრიალდა ადგილი აღარ ექნება თავისუფალ რუსეთში. მხოლოდ საჭიროა მთელმა ხალხმა, მთელმა დემოკრატიამ და შეძლებულმა კლასებმა ჩვენთან ერთად მიიღოს მონაწილეობა ამ დიდ საქმეში, დაეხმაროს ჯარს რითაც კი შეუძლია. უკეთუ ეს ასე იქნება მაშინ იმედია ჯარი ძალას მოიკრებს და ჩვენ სიამაყით ვიტყვით „ჩვენ გვაქვს ძალა და გავათავებთ ამ ომს“.

კერენსკის სიტყვის გათავებას დიდი ოვაციით შეხვდა მთელი კრება.

ომის დეპეშები.

(პ. დ. ს.)

პეტროგრადი. 11 ოქტომ. ჩრდილოეთისა და დასავლეთ-სამხრეთ ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

რუმინიის ფრონტზე, ოკნას მიმართულებით, გროზეშტის რაიონში მტერმა ჩვენი ჯარის წინააღმდეგ მახრჩობელა გაზები გამოუშვა.

კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

ბალტიის ზღვაზე შეტაკება არ მომხდარა.

პარიზი. 10 ოქტომ. ლაფოს ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა და 3 კილომეტრის მანძილით წინ წავიწიეთ. ამ ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 300 ჯარისკაცი და ხელთ ვიგდეთ 19 ზარბაზანი. ბრძოლა გრძელდება.

ლონდონი. ოფიციალური ცნობა. ბრიტანეთის მთავარი შტაბიდან საფრანგეთში. პელკაპელეს ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა მტერზე იერიში მიიტანა და რამდენიმე სიმაგრე აიღო. პელკაპელეს ჩრდილოეთით დიდი ბრძოლა გაიმართა. ჩვენმა ჯარმა დაიჭირა რამდენიმე ფერმა და სიმაგრე. დილით მტერმა კონტრ-იერიში მოიტანა; ჩვენ ტყვეთ ჩავიგდეთ 200 კაცი. მტერი ძალზე დაზარალდა.

რომი. 10 ოქტომ. პიანო-კადორეს პოზიციებზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

უკანასკნელი ფოსტა

რკინის გზის მოსამსახურენი არ არიან კმაყოფილი იმ დეკრეტით, რომლის ძალითაც მათ უკანასკნელათ ჯამაგირები მოემატათ. უკმაყოფილების მრავალ დეპეშებს ღებულობს მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი, ამიტომ გადაწყვეტილია მოიწვიონ პეტროგრადში 5 ნოემბერს სრულიად რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეთა წარმომადგენლების ყრილობა.

—

3 ოქტომბერს გერმანიის ფრონტზე ჯარისკაცების ერთმა ჯგუფმა გზაში სცემა კომისარ ცვეტკოვს; ცვეტკოვი ერთ ერთ დივიზიაში მიდიოდა, რათა იქ განახლებულ დაძმობილებისათვის ბოლო მოეღო.

—

განზრახვა აქვთ დასცალონ კრონშტადტი.

—

მოსკოვის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს გაფიცვა გამოაცხადონ 15 ოქტომბრიდან, უკეთუ მათ ეკონომიურ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ.

—

სამხედრო მინისტრის ვერხოვსკის აზრით აჯობს ჯარების დემობილიზაციის საქმეთა საწარმოებლად დაარსოს საგანგებო კომიტეტი, კომიტეტის სათავეში მდგომი პირი მინისტრის უფლებებით იქნება აღჭურვილი.

—

კადეტები წინააღმდეგი არიან, რათა წინასწარ პარლამენტში ისეთი კომისია შექმნან, რომელიც რესპუბლიკანური წყობილების დამყარებას შეუწყობს ხელს. კადეტების აზრით არ არის გადაჭრილი თუ რანაირი წყობილება დამყარდება რუსეთში.

ახალი ამბები

კარლო ჩხეიძე გუშინ ჩამოსულია თფილისში და შეუჩერებლივ წასულა სოფელში დასასვენებლათ.

◆ **ამრჩეველთა საყურადღებოთ.** ვინც გამორჩენილია ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილ საარჩევნო სიაში, მან ამის შესახებ განცხადება უნდა შეიტანოს დღეს საღამოს 9 საათამდე ქალაქის გამგეობაშივე.

◆ **დარბევის წინააღმდეგ ბრძოლა.** სრულიად რუსეთის მ. და ჯ. დეპ. საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტმა დაადგინა ყველა ქალაქში დაარსდეს ცალკე კომისია დარბევის წინააღმდეგ საბრძოლველათ. კომისიაში შედიან მ. და ჯ. დეპ. საბჭოს, პოლიტიკურ პარტიების, მუშათა და სამხედრო ორგანიზაციების, პროფესიონალურ კავშირის, ადგილობრივ თვითმმართველობათა და სამხედრო დაწესებულებათა წარმომადგენლები და შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარები. კომისიამ უნდა აწარმოოს აგიტაცია დარბევის წინააღმდეგ, გაავრცელოს მოწოდებები, ფურცლები და სხვ. როცა მოსალოდნელია საფრთხე, კომისია აწყობს მუშებისაგან და მილიციონერებისაგან ცალკე რაზმებს და გზავნის საჭირო ადგილებში. კომისია მუშაობს სამხედრო ნაწილებისა და მილიციის უფროსთან შეთანხმებით.

◆ **ფართლეულობის ნიხრი.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის გამგეობამ დაამტკიცა ფართლეულობის ნიხრი, რომლის თანახმათ არშინი ჩითი უნდა გაიყიდოს 78 კ.—2 მ.; მიტკალი 70 კ.—1 მ.; სატინა 1 მ. 26 კ.—2 მ.; ბიაზი 74 კ.—1 მ. 40 კ.; ბამბაზია 1 მ. 4 კ.—1 მ. 75 კაპ.

◆ **საარჩევნო სამზადისი.** უკვე შეუდგენ ქალაქის დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომისიის მოწყობას. დამატებითი სიების შედგენაც დამთავრდა და ამ დღეებში ამ სიებს გაანაწილებენ საარჩევნო უბნებში.

◆ **უნივერსიტეტი თფილისში.** პეტროგრადიდან პირდაპირი მავთულით იტყობინებიან, რომ დრ. მთავრობამ დაადგინა 1918 წ. 1 იანვრიდან გაიხსნას თფილისში უნივერსიტეტი. ჯერ ჯერობით გაიხსნება საისტორიო-ფილოლოგიური ფაკულტეტი, 1 ივლისიდან კი—ფიზიკო-მათემატიკური და ქიმიური ფაკულტეტი.

◆ **თავგასული სახლის პატრონი.** სახლის პატრონთა თავგასულობას საზღვარი არა აქვს. ისინი ყოველივე საშუალებას მიმართავენ, რომ აიძულონ ბინის დამქირავებელნი და ოთახის ფასი ერთი-ორად გაუდიდონ. აი, მაგ. როგორ განუზრახავს სახლის პატრონ ჩკარეულს (არტილერიის ქ.) მდგმურების შევიწროება. რომ ვერაფერი გააწყო და ბინის ქირა ვერ მოამატებია, მან თურმე წყლის ფასი არ შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რამაც გამოიწვია წყლის შეჩერება და ამრიგათ დგმურების უწყლოთ დატოვება. ძალზე შეწუხებული დგმურები მეოთხე დღეა იძულებული არიან სხვისი ეზოდან მოიტანონ წყალი.

◆ **სასწავლებლები გურიაში.** მიმდინ. წლის განმავლობაში გურიაში გაუხსნიათ 25 პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი. ამნაირათ, თითო სასოფლო საზოგადოებაზე მოდის თითო სასწავლებელი. სასწავლებლების შენახვა და შენობის აგება იკისრეს თვით მცხოვრებლებმა. მხოლოდ საქმეს ის გარემოება აფერხებს, რომ დიდი დანაკლისი ყოფილა მასწავლებლებისა.

◆ **ერობა კავკასიაში.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა დაადგინა შემოიღოს ერობა იმ ადგილებში, სადაც საჭირო არ არის ტერიტორიალური გადამიჯვნა, საზღვრების შეცვლა.

◆ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის** ზოგიერთ სასწავლებლებში ჯერ კიდევ არ დაწყებულა მეცადინეობა.

◆ **შუამდგომლობა.** მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა დროებით მთავრობის წინაშე, რომ გადადებულ იქნას მ. და ჯ. დეპ. საბჭოთა ყრილობა. კვირას შესდგება კომიტეტის კრება ხსენებულ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების ასარჩევათ.

◆ **პური.** ქალაქში პურის გაყიდვის მოსაწესრიგებლათ მოხსენების შედგენა ქალაქის გამგეობამ დაავალა ამხ. პ. აზატიანს.

◆ **ლექცია.** დღეს, დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდ“-ში თუმანოვი წაიკითხავს ლექციას გლ. უსპენსკიზე. ლექციის შემდეგ გაიმართება პოლონურ სექციის მიერ სპექტაკლი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

◆ **საარჩევნო ფონდი.** შემოვიდა რ. ს.-დ. მ. პ. მანგლისის ორგანიზაციისაგან დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ საოლქო კომიტეტის კასაში 20 მან.

◆ **რედაქციამ მიიღო** ჟურ. „სოფლის გაზეთი“-ს № 13—14, ჟურნალში ბევრი საყურადღებო წერილია მოთავსებული და ღირს 20 კაპ.

◆ **გაფიცვა.** 6 ოქტომბერს დაწყებული აფთიაქებში მომუშავეთა გაფიცვა ნორმალურათ მიმდინარეობს. მომუშავეთა მოთხოვნილება დააკმაყოფილა კიდევ ბ-ნმა კასაბაშვილმა. სულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 13 აფთიაქის პატრონმა. დანარჩენ აფთიაქებში გაფიცვა გრძელდება.

◆ **მასწავლებელთა განთავისუფლება.** კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი აცნობებს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ სამხედ. მინისტრ. ბრძანების თანახმათ განთავისუფლებულ უნდა იქნენ სამხედრო სამსახურისაგან [illegible] და დაბალ სასწავლებლების მასწავლებლები, რომლებიც ჯარის [illegible] ან მსახურობენ სამმართველოებში და სხვა დაწესებულებებში.

◆ **ბინებისა და ოთახების რეკვიზიცია.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი შეეკითხა დრ. მთავრობას, შესაძლებელია თუ არა მივსცეთ თვითმართველობებს ბინებისა და ოთახების რეკვიზიციის უფლებაო.

◆ **გაფიცვის დასრულება.** ბათუმის გიმნაზიის მოსწავლეთა გაფიცვა დასრულდა.

კრებები და მიტინგები.

ამიერ კავკასიის მარქსისტ მოწაფეთა კავშირის თფილისის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება დანიშნულია შაბათს, ოქტომბრის 14-ს, საღამოს 5 საათზე, თფილისის სათ.-აზნ. გიმნაზიაში. აქვე მოხდება ახალ წევრთა მიღება. სთხოვენ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, ვორონცოვის უბნის მუშათა კლუბში შესდგება მეცხრე სამილიციო ნაწილში მცხოვრებ რუს. ს.-დ. მ. პ. წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგი: 1) პოლიტიკური მომენტი; 2) პარტიული ყრილობა; 3) კოლექტივის მოქმედება; 4) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და 5) მიმდინარე საკითხები. ვთხოვთ აგრეთვე დაესწრონ მეცხრე უბნის საარჩევნო ბიუროს ყველა წევრები.

— დღეს, დილის 12 ს., საოლქო კომიტეტის ბინაზე, შესდგება შეერთებული კრება საოლქო კომიტეტის, საცენტრალო კომისიის და კავკასიის ჯარის ცენტრის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წევრებისა. კრების მიზანია ფრონტიდან სადეპუტატო კანდიდატების დასახელება.

— კვირას, საღამოს 5 ს., კომიტეტის ბინაზე (გოლოვინის პრ. № 12) დანიშნულია დამფუძნებელ კრების რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტის წევრთა კრება. პრეზიდიუმი სთხოვს ყველა რაიონებს და სამილიციო ნაწილებს გამოგზავნონ თითო წარმომადგენელი.

— კვირას, დილის 10 ს. სახალხო სახლში შესდგება მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის, პროფესიონალურ კავშირების გამგეობათა და მუშათა აღმასრულებელ კომიტეტების წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგი: 1) მუშათა და მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის წესის შემუშავება; 2) მუშათა ორგანიზაციების მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში; 3) მიმდინარე საკითხები.

— დღეს, საღამოს 7 ს., სასახლის თეთრ დარბაზში შესდგება კრება კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრებისა.

— დღეს, საღამოს 9 ს., კავშირის ბინაზე (პეტრე დიდის ქ. № 18) დანიშნულია აფთიაქებში მომუშავეთა კრება.

— დღეს, საღამოს 7 ს., მეორე სამომრიგებლო განყოფილების შენობაში (მუხრანის ქ.) დანიშნულია მე 4 სამილიციო უბანში მცხოვრებ ს.-დ. პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა საერთო კრება. წაიკითხავენ ლექციას დამფუძნებელ კრების შესახებ ამხ. ს. ირემაშვილი (ქართულ ენაზე), ალიხანოვი (რუსულ ენაზე) და სომხურ ენაზე.

— ხვალ, საღამოს 6 ს., სახალხო სახლში შესდგება საგანგებო სხდომა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრებისა. განიხილველია საკითხი სრულიად რუსეთის საბჭოთა მეორე ყრილობის შესახებ.

პროვინციის ქრონიკა.

ქვემო ავჭალა. 28 სექტემბერს მოხდა საზოგადოების კრება. კრების მოწვევის მიზეზი იყო გადაყენება ძველი აღმ.-ის კომიტეტის წევრებისა და არჩევა ახლისა. კრებას დაესწრო წარმომადგენელი ვ. კაკაბაძე ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტიდან. გადაყენებულ იქნა ყველა წევრები გარდა მიხა წამალაშვილისა (რომელიც ხელმეორეთ იქნა არჩეულ თავმჯდომარეთ) და კომისარ შერაძისა.

— ქვემო ავჭალაში გაიხსნა ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, მაგრამ, საუბედუროთ, ხალხი ვერ შეხვდა ჯეროვან ყურადღებით და ამდენხანს შენობა ვერ უშოვეს.

— 7 ოქტომ. შეიარაღებული უცნობნი დაესხენ ი. შაქინოვს ზემო ავჭალაში. შაქინოვი დასჭრეს დანით თავში და მოსამსახურე რევოლვერით კისერში და მიიმალნენ. არც ფული და არც არავითარი ნივთები არ წაუღიათ. როგორც ირკვევა, უცნობები მოსულან ავტომობილით თფილისიდან. შეიპყრეს ერთი ყაჩაღთაგანი და ავტომობილი შოფერითურთ დაატუსაღეს. გამოძიება სწარმოებს.

ყვირილა. აქ სანოვაგის ნაკლებობაა. პური სრულიად არ იშოვება. სიმინდი ფუთი 12 მ. ფასობს. ხალხი ძლიერ შეწუხებულია სურსათის უქონლობით.

— ზოგიერთ ქუჩეებში მოხელე ხელოსნები მიუხედავათ იმისა, რომ აქ განხორციელებულია 8 საათის სამუშაო დრო, მაინც განაგრძობენ თითქმის მთელი ღამით მუშაობას. საჭიროა მომრიგებელმა კამერებმა ამას შესაფერი ყურადღება მიაქციონ.

— ღვინის ვაჭრები არ აქცევენ ყურადღებას აღმ. კომიტეტის დადგენილებას ღვინის გაყიდვის შესახებ და ზოგი მათგანი ჩუმათ მაინც ყიდის ზომაზე მეტ ღვინოს, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრ მათგანს სამუდამოთ დაუკეტეს დუქნები დადგენილების აუსრულებლობის გამო.

— აქ დამოუკიდებელი მიზეზებით საქალაქო არჩევნები დაგვიანდა. სიები მზად არის. ახლო მომავალში არჩევნები მოხდება.

— შესდგა შორაპან-ყვირილის რკ. გზის მუშებისაგან მუშათა მილიცია. ვარჯიშობა უკვე დაიწყო. მსურველები ბევრია. სხვა ადგილებიდანაც ეწერებიან მილიციაში.

— შორაპნის სადგურზე უნტერ-ოფიცერმა ჩხეიძემ ხმლით დასჭრა ჭიათურის ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი მიულსი. ჩხეიძე დააპატიმრეს.

სადღეისო წერილები

I.

რა არის რევოლუცია?

რევოლუცია ფართე საზოგადოებრივი მოძრაობაა. ჩვენ ვიცით საზოგადოებრივი მოძრაობანი ჩვენი ახლო წარსულიდან, რომელნიც ფართე ხასიათს ღებულობდენ, მაგრამ რევოლუციას მათ ვერ ვუწოდებთ. ესენია ამბოხებანი. ასეთი ამბოხებანი მრავალი იყო ჩვენ სოფლებში 1905 წლამდე, ბევრი იყო მათი რიცხვი რუსეთშიც, მაგრამ რამოდენიმე ასეული ყაზახ რუსი კმაროდა ამ მოძრაობის ჩასაქრობათ. ღარიბი სოფლელები კვლავ ძველ უღელს ქვეშ რჩებოდენ და ყველა ზარალს, რომელიც მათ მებატონეებს თუ მემამულეებს მიაყენეს, ერთი-ორათ ახდევინებდენ. სულ სხვანაირია 1905 წლის მოძრაობა, ის არ იყო მხოლოდ რომელიმე კუთხის მოძრაობა, არამედ—მასში იღებენ მონაწილეობას სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები, აქ ერიენ მუშები, გლეხები, ვაჭრები და მექარხნეები, ნასწავლნი—პროფესორები და სტუდენტები, ერობათა და ქალაქის თვითმართველობათა წარმომადგენელნი და სხვა. მოძრაობა მოედვა მთელს რუსეთს და თავისი ძლიერი კვალი დასტოვა ცხოვრებაში.

რა მიზანი აქვს რევოლუციონურ მოძრაობას, ამის პასუხს მოგვცემს მაგალითები წარსული რევოლუციისა. ამ 128 წლის წინეთ, 1789 წელს, საფრანგეთში ახლანდელი რესპუბლიკანური მართველობის მაგიერ არსებობდა თვითმპყრობელობა მსგავსათ ნიკოლოზის დროის რუსეთისა. ერთმა საფრანგეთის მეფემ სრულიად გამოხატა მაშინდელი მართვა-გამგეობის მიმართულება შემდეგ სიტყვებში: „სახელმწიფო—ეს მე ვარო“. ესე იგი, ნება არა აქვს არავის ჩაერიოს და რამე გამიბედოს ჩემს მეფობაშიო. რას წარმოადგენდა ეს მეფობა? ეს იყო ბატონობა მემამულე თავად-აზნაურებისა, რომელთა ხელში იყო საფრანგეთის მიწების დიდი უმრავლესობა და სამღვდელოებისა. მცხოვრებთა ამ ორ ჯგუფს მოჰქონდა თავი ქვეყნის პირისუფლათ. დანარჩენი მცხოვრებნი ჩარიცხული იყვნენ მესამე წოდებაში. ისინი მოკლებული იყვნენ რაიმე უფლებას მართვა-გამგეობის საკითხში და მხოლოდ ბეგების და გადასახადების გადამხდელებათ ითვლებოდენ. მესამე წოდებაში თვალსაჩინო ადგილი ბურჟუაზიას, ფულიან ხალხს ეჭირა, მაგრამ რამდენათ დიდი იყო მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, იმდენათ უმნიშვნელო იყო პოლიტიკურში და აი, აქ უნდა ვეძიოთ კვანძი საფრანგეთის დიდი რევოლუციისა. ერთი წარმომადგენელი ამ წოდებისა აბატი სიიესი კითხულობდა: „რა არის მესამე წოდება დღეს? არაფერი. რათ უნდა იყოს იგი? ყველაფერიო“. და აი 14 ივლისს 1789 წელს ხალხი ამოძრავდა. პარიზის მცხოვრებლებმა დაანგრიეს ციხე ბასტილია. მოძრაობა მოედვა მთელს საფრანგეთს. გლეხებმა ცეცხლი გაუჩინეს მემამულეთა ციხე-დარბაზებს. მაშინ უკანასკნელებმა იგრძნეს, რომ მათ ბატონობას ბოლო ეღებოდა და 4 აგვისტოს თვითონვე განაცხადეს უარი თავიანთ უპირატესობებზე. თავად-აზნაურობა და სამღვდელოება მოძრაობამ გასრისა და მათი მაგიერობა არგუნა ცხოვრების ახალ წოდებას, ბურჟუაზიას, ანუ მესამე წოდებას. მთელი მართვა-გამგეობა უკანასკნელის ხელში გადავიდა, ბურჟუაზიამ დაიწყო სახელმწიფო მართვა გამგეობის თავისი სურვილების ანუ, უკეთ, თავის ჯიბის ინტერესების თანახმათ გადაკეთება და თავისი ბატონობის განმტკიცება. აი ეს არის შინაარსი საფრანგეთის დიდი რევოლუციის.

ამ რიგათ რევოლუციონური მოძრაობის მიზანია ძალა-უფლების ხელში ჩაგდება ახალი საზოგადოებრივი კლასის მიერ და თანახმათ თავისი ინტერესებისა მართვა-გამგეობის მოწესრიგება.

ამ განმარტებიდან ჩვენთვის აშკარა ხდება განსხვავება ეგრეთ წოდებულ რევოლუციას და რეფორმას შორის.

რეფორმა, ან საზოგადოებრივი ცვლილებები, რაც უნდა ფართე ხასიათისა იყოს იგი, მიზნათ არ ისახავს პოლიტიკური უფლების დაჩაგრული კლასის ხელში გადაცემას, რეფორმები მხოლოდ გზას უკაფავენ უკანასკნელისაკენ. აი მაგალითიც: ამ დიდი ომის წინეთ ბელგიაში გაიფიცენ ყველა მუშები. არ დარჩა პური, არ დარჩა სათბობი მასალა, სინათლე, სისუფთავე ეზოებში და ქუჩებში, ტრამვაი, გაზი და სხვა და სხვა. შეწყდა მთელი ცხოვრება. მუშებმა წარუდგინეს თავიანთ მთავრობას მოთხოვნილება: საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება. მუშების ერთსულოვნობამ გასტეხა მთავრობა და მანაც აღუთქვა საარჩევნო კანონის გადასინჯვა. ამრიგათ ბელგიელმა მუშებმა თავის გაფიცვით საგრძნობელ შედეგს მიაღწიეს. მაგრამ ამით მათ კიდევ ვერ დაამხვეს კაპიტალის ბატონობა. საერთო საარჩევნო უფლება ერთი საშუალებათაგანია ამ ბატონობის დასამხობათ. ასეთი უფლება ჩვენც გვაქვს მხოლოდ პირველად ხელში, მისი გემო პირველად უკვე ვიხილეთ დღეს რუსეთში: ესაა დემ. თვითმმართველობები, დემოკრატიული ერობები, ბოლოს გვექნება დემოკრატიული პარლამენტი ანუ დუმა—აი, შედეგები საყოველთაო საარჩევნო უფლების. ხოლო კაპიტალის დამხობა კი მოხდება პოლიტიკური უფლების მუშათა კლასის ხელში გადასვლით. ამას კი სოციალური რეფორმა მიზნათ ვერ დაისახავს. ეს უკვე რევოლუცია იქნება. აი ამაშია განსხვავება რეფორმის რევოლუციისაგან.

ბევრი ფიქრობს, რომ რევოლუციას უსათუოდ უნდა თან ახლდეს ქუჩაში ბრძოლა, ბარიკადები და სხვ. ნამდვილათ კი, რევოლუცია უამისოდაც შესაძლებელია. აი მაგ. 1832 წელს, ხანგრძლივი პარლამენტალური ბრძოლის შემდეგ დიდ ბრიტანეთში, ინგლისში ქვედა პალატაში მიღებულ იქნა ბილი, ესე იგი კან.-პრ. საარჩევნო უფლებების ცვლილების შესახებ. უკანასკნელმა გაამრავლა ბურჟუების წარმომადგენელთა რიცხვი პალატაში, რასაც შედეგათ მოჰყვა მართვა-გამგეობის მათ ხელში გადასვლა მემამულეების ხელიდან, მაგრამ რაკი ასეთი მოვლენები იშვიათია, ამიტომ რევოლუციასთან ერთად მუდამ გულისხმობენ ძალდატანებას, ბრძოლას, სისხლის-ღვრას, მოქალაქობრივ ომს, რადგანაც გაბატონებული კლასი თავის ბატონობას იოლათ და უომრათ არავის არ დაუთმობს.

ამ რიგათ, ჩვენ შეგვიძლია თავში დასმულ კითხვას გავსცეთ შემდეგი პასუხი: საზოგადოებრივი რევოლუცია ეწოდება ფართო ხასიათის საზოგადოებრივ მოძრაობას, მიმართულს არსებული წეს-წყობილების და ადამიანთა საერთო ცხოვ. ტ მოქმ. საფუძვლიანათ შეცვლისაკენ. ეს კი შედეგათ მოსდევს პოლიტიკური უფლების, ესე იგი მართვა-გამგეობის აქამდე გაბატონებულ კლასის ხელიდან დაჩაგრულ კლასის ხელში გადასვლას.

მ. ცაკაშვილი.

ბნელი ძალები ამოძრავდენ

რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში, როგორც დეპეშებიდან ვტყობილობთ, „პოგრომები“ ხდება. ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის. ანგრევენ სავაჭროებს, იტაცებენ საქონელს და მასთან ერთად, სამწუხაროთ, ხელი მიჰყვეს ებრაელების დარბევასაც.

თავისუფლების დღეებით თავზარ-დაცემულნი, ბნელ სოროებში ჩამძვრალი ბნელი ძალები, რომლებსაც მზის სინათლეზე არ შეეძლოთ თავიანთი საზიზღარი მუშაობის გაგრძელება, კვლავ ამოდიან თავიანთი სოროებიდან მზის სინათლეზე „სამოქმედოთ“.

რევოლუციის ბრწყინვალე დღეებში მიმალულმა შავმა ძალებმა რაღაც თავისუფლება იგრძნეს და ეკვეთენ კიდეც რევოლუციას თავიანთი ძველი ნაცადი საშუალებით. მათთვის საკმარისი იყო რევოლუციის მსვლელობა ოდნავ შეფერხებულიყო, რომ თავი წამოეყოთ თავისუფლების წინააღმდეგ სამოქმედოთ. კორნილოვის გამოსვლამ ბნელ ძალებს ხელები აუხსნა და ისინიც შეუდგენ „მუშაობას“ ბნელ ხალხში.

რუსეთში ბნელი ძალები ახლა არ იმოსებიან წითელი ფერის ტანისამოსით, არ ატარებენ წითელ ლენტებს გულზე, ახლა ბნელი ძალები არ ეძლეობიან ლენინისტებს, ახლა ისინი დიდის ენერგიით, გამბედაობით ეწევიან აშკარა აგიტაციას ბნელ მასაში, და რაც დრო გადის, მით უფრო აშკარათ და ენერგიულათ მუშაობენ. ივლისის გამოსვლების შემდეგ ლენინელების წინააღმდეგ აღშფოთებული მასსით ისარგებლეს რა ბნელმა ძალებმა პირველათ იერიშის მიტანა დაიწყეს ჯერ რევოლუციონური მთავრობის წინააღმდეგ და შემდეგ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებზე იმ ძველი ნაცადი საშუალებით, რომლითაც კარგათ მოქმედობდენ თვითმპყრობელობის დროს. ბნელი ძალების ძველი ნაცადი ხერხი იყო ბნელ მასაში ნაციონალური შუღლის და მტრობის დათესვა და რომ მიზანი განახორციელონ დღესაც მიმართავენ ასეთ საშუალებას.

— „სცემეთ ებრაელებს, მათი ბრალია ყველაფერიო“. რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში როგორც ვთქვით ბნელი მასსა უკვე წამოეგო ამ ანკესზე. უკვე მოხდა ებრაელების დარბევა ანუ „პოგრომი“. „თუ თქვენ ყურს დაუგდებთ ქუჩაში შეკრებილ მასსას, თუ თქვენ მოისმენთ ტრამვაიში მუსაიფს და სხვადასხვა ადგილებში, ნათლათ, გარკვევით გაიგონებთ ძველ ნაცნობ სიტყვას: „ჟიდს“, ასე გვიწერენ რუსეთის გაზეთ. ბნელი ძალების აგიტაციას. დღეს თუ ჩვენში ნაკლებათ გაიგონებთ სიტყვა „ჟიდს“, სამაგიეროთ, ხშირათ გაიგონებთ: „მაღაზიები უნდა დავლეწოთო“. რუსეთის ქალაქებში მაღაზიების დალეწვასთან და საქონლის გატაცებასთან ერთად ებრაელების დარბევასაც მიჰყვეს ხელი. ეს კი ყველაზე მეტად საშიშია რევოლუციისათვის.

ბნელი ძალები ასეთი საშუალებით მცხოვრებთა ერთ ნაწილს მეორეზე ამხედრებენ. მათ კარგათ შეთვისებული აქვთ—„დაჰყავი, დაქსაქსე და იბატონეო“ და ასეც იქცევიან. ისინი მოხდენილათ სარგებლობენ ძველი ხერხით, სთესავენ უნდობლობას რევოლუციონური ორგანოების წინააღმდეგ ტ გაიძახიან: „იქ ებრაელები განაგებენ ყველაფერსო“, შემდეგ ეს მტრობა გადააქვთ საერთოდ ებრაელებზე და ნაყოფი ასეთი აგიტაციისა არის „პოგრომი“ დარბევა და სხ.

ებრაელების დარბევის ნიადაგზე დაიწყება კონტრ-რევოლუციონერების გამოლაშქრება თუ ეხლავე არ იქნა სასტიკი ზომები მიღებული. მთელი რუსეთის დემოკრატიის ბედი საშიშარ მდგომარეობაშია. მომავალი საფრთხეს წინაშე აუცილებელი საჭიროა ენერგიულათ იმოქმედონ რევოლუციონურმა ორგანოებმა, რომ ძირშივე ჩაახშონ ბნელი ძალების გამოლაშქრება.

ამასთანავე უნდა გვახსოვდეს კარგათ, რომ თუ ჩვენში ებრაელების აწიოკებას ვერ გაბედავენ, სავაჭროების დამტვრევას კი მოახერხებენ, თუ წინდაწინვე არ იქნა მიღებული ზომები.

მთელი შეგნებული დემოკრატია უნდა შეუკავშირდეს მჭიდროთ რევოლუციონურ ორგანოებს და სასტიკათ უნდა ეკვეთოს იმ „პოგრომჩიკებს“, რომლებიც თავიანთი „გამოსვლებით“ რევოლუციას და თავისუფლებას საფრთხეს უმზადებენ.

აკ. მდივნიშვილი.

ესეც კონფერენცია!

რამდენიმე დღეა, რაც თფილისი ბედნიერებას განიცდის ქართველ „მწერალ-ხელოვანთა“ კონფერენციით. მესამე სხდომა ჰქონდა ჩვენს „მწერალ-ხელოვანთა“ კონფერენციას და, სამწუხაროთ ჩვენდა, უნდა ვაღიაროთ, რომ არა მგონია რომელიმე ერს ასეთი ფუქსავატი, უსუსური და ცხოვრების უკანონო შვილები ჰყავდეთ მწერლებათ, როგორც ეს გვყოლია ჩვენ, ქართველ ერს.

მართალია, წინდაწინვე ვიცოდი, რომ ეს კონფერენცია უსიცოცხლო და უფერული იქნებოდა, რომ ამ კონფერენციას ვერ დაესწრებოდენ ზოგიერთი ჩვენი მოქალაქე მწერლები, ჩვენი მწერლობის ნამდვილი მუშაკნი, რომლებიც კალამს იმიტომ კი არ იღებენ ხელში, რომ „ოქროს ფეხებისთვის“ თხზან მისალოცი ჰიმნები, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს უკუღმართ ცხოვრების გარდაქმნას ხელი შეუწყონ. ვერ დაესწრებოდენ იმიტომ კი არა, რომ ისინი საჭიროთ არ სთვლიდენ ასეთ კონფერენციებს, არამედ იმიტომ, რომ დღეს, დღევანდელ ისტორიულ წუთებში, როცა მშრომელმა ხალხმა უკანასკნელი ძალღონე უნდა მოიკრიბოს და უკანასკნელათვე ჩასცეს მტერს ლახვარი გულში, რომ საუკუნოების განმავლობაში მონის უღლის მატარებელი შრომა დღეს მაინც განთავისუფლოს, მათ არ სცალიათ მარტო პრტყელ-პრტყელ „რეჩებისათვის“ და დეკლარაციებისათვის, ისინი ერთგულათ დარაჯობენ მშრომელი ხალხის ინტერესებს ტ მას ვერ მოსცილდებიან.

დღეს როცა ცხვირ წინ გვიდგას დამფუძნებელი კრების არჩევნები, მათ არ შეუძლიათ არ მიიღონ ენერგიული მონაწილეობა პრაქტიკული მუშაობით მის სამზადისში.

დიახ, ჩემის აზრით, ამ მიზეზებით უნდა ავხსნათ, რომ კონფერენციის სხდომებს პროვინციელი ამხანაგები ვერ ესწრებიან—ისინი არ ჩამოსულან თფილ. კონფერენ. დასასწრებლათ. ვიცოდი ეს წინდაწინვე, მაგრამ მაინც ვერ წარმომედგინა, რომ ქართველ მწერალთა ერთი ნაწილი სრულ უვიცობას გამოიჩენდა საზოგადოებრივ ცხოვრების და ჩვენს გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა დაფასებაში.

რომ ეს ნაწილი ჩვენი მწერალ-ხელოვანთა სრულიად მოუმზადებელი ყოფილა არა თუ მსოფლიო საზოგადოებრივ ცხოვრების ცოდნაში, არამედ ჩვენი ეროვნულ საზოგადოებრივ ცხოვრებისაც კი, ამას ნათლათ ამტკიცებს კონფერენციის სამშაბათის სხდომა.

რა გინდათ, რომ ამ სხდომაზე არ გაიგონებდით სოციალ-დემოკრატებზე და მათი ბელადების შესახებ. რუსების ლაქიები, რენეგატები და სხვ. ეროვნების ლანძღვა-გინებას დასასრული არ ჰქონდა.

„მე ვარ მე ყველაფერი და სხვები კი არაფერიო“ აი რა შინაარსს აქსოვდენ ჩვენი „მწერალ-ხელოვანები“ თავის ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებში.

განსაკუთრებით ბ. ბ. ს. დადიანმა კ. გამსახურდიამ და ლ. მეტრეველმა ისახელეს თავი. სიტყვების მთელი კორიანტელი დააყენეს იმის დასამტკიცებლათ, რომ პრეზიდიუმის მიერ დაწერილი მისალოცი დეპეშა არ გაეგზავნათ კაკო წერეთლისთვის, როგორც არა ქართველების დამცველისა, რუსების ლაქიის და რენეგატისათვის, რადგანაც მას დეპეშა შეურაცყოფას (?) მიაყენებსო. და სხვ. როცა კაკო წერეთლის იდეურმა ამხანაგებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს დემოკრატიის ბელადის შეურაცყოფისათვის და მოითხოვეს დაგმობა ზოგიერთების ასეთი საქციელის, განსაკუთრებით კ. გამსახურდიასი, სწორედ აქ გამოაშკარავდა კრების უმრავლესობის სრული უსუსურობა. იმის მაგიერ, რომ კრებას დაეგმო კ. გამსახურდიას და სხვების მიერ კ. წერეთლის შეურაცყოფა, მათ გამოექომაგნენ გრიშაშვილთან ერთად ლ. მეტრეველი და წარმოიდგინეთ „ნაკადულის“ რედაქტორი ნინო ნაკაშიძეც კი.

„რა ვუყოთ მერმე, რომ კ. გამსახურდიამ მკვახე სიტყვები იხმარა კ. წერეთლის მიმართ. ნუ თუ საზოგადოებამ ვერ უნდა შევეჩვიოთ ასეთ სიტყვებსაო და სხვ.“ სთქვა მან.

კონფერენციის დემოკრატიული ნაწილის ზოგიერთმა წევრებმა პროტესტის ნიშნათ დემონსტრატიულათ მიატოვეს კრება. კარგი იქნება, თუ ამ კონფერენციას ქართველ მწერალ ხელოვანთა კონფერენციის მაგიერ სხვა სახელს დაარქმევდენ.

ხ. ქიშვარდიშვილი.

სახალხო მასწავლებლის ცხოვრებიდან

როგორც მოგეხსენებათ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან სახალხო მასწავლებლები. მათი ცხოვრების არსებობა დღევანდელი სიძვირის გამო შეუძლებელი გამხდარა. ცხოვრება თანდათან ძვირდება და სახალხო მასწავლებლის მდგომარეობაც აუტანელი ხდება. მას გაჭირვებისაგან თავი ვერ დაუღწევია.

უფრო საშინელი იყო სახალხო მასწავლებლის მდგომარეობა ძველი რეჟიმის დროს. „ჩინოვნიკი“ ინსპექტორები ხომ მიწასთან ასწორებდენ მათ, სრულიად უდანაშაულოთ ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ და თუ მასწავლებელი სამართლიან ხმას ამოიღებდა, მაშინ სამსახურიდანაც ითხოვდენ. ამიტომ, არა ერთი მასწავლებელი გაუბედურებულა სრულიად უდანაშაულოთ.

თუმცა ეხლა ყველა ამ უბედურობისაგან განთავისუფლდა მასწავლებელი, მაგრამ საუბედუროთ, გაჭირვებისაგან მას თავი მაინც ვერ დაუღწევია. იგი დღეს 80 მ. ღებულობს თვეში და რა უნდა უშველოს ასე ცოტა ჯამაგირმა მაშინ, როდესაც ცხოვრება ერთი ათად გაძვირდა წინანდელზე შედარებით. სამრევლო სკოლის მასწავლებლები უფრო ცოტას ღებულობენ—თვეში 40 მან. კარგია, თუ მასწავლებელი თავის სოფელში მსახურობს, მაგრამ თუ იგი მოშორებულია თავის კერას, მას ასე ცოტა ჯამაგირით არ შეუძლიან არსებობა, რადგან სოფლებშიაც ცხოვრების პირობები გაძვირდა. ბევრ მასწავლებლებს საკუთარი ოჯახიც არა აქვთ, მხოლოდ მასწავლებლობის ჯამაგირით არჩენენ ცოლშვილს და როდესაც ასე მცირეოდენს ღებულობს, იგი რასაკვირველია, უფრო ცუდ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. საჭიროა სახალხო მასწავლებლები მატერიალურის მხრით იყვნენ დაკმაყოფილებულნი. რევოლუციის სხივებმა სახალხო მასწავლებლის ცხოვრებაშიაც შეიტანა სინათლე. მოხელე ინსპექტორებისაგან დამონებულმა და უფლება-აყრილმა, ხმა ამოიღო, წელში გასწორდა და უსამართლობას შეებრძოლა. წინათ თუ სახალხო მასწავლებლებს არ ქონდათ უფლება არავითარი კავშირებისა, დღეს მათ აქვთ თავისი კავშირი, სადაც შეერთებულის ძალით შეუძლიათ იმუშაონ ხალხის საკეთილდღეოთ. მათ დღეს შეუძლიათ სამართლიანი მოთხოვნილებაც წამოაყენონ და თუ ეს შესაძლებელი იქნება მთავრობამ ანგარიშიც უნდა გაუწიოს. მაგრამ, საუბედუროთ, ამან არ იკმარა, ცოტა ჯამაგირით, რომელსაც იგი დღეს ღებულობს, შეუძლებელი ხდება დღევანდელ აუტანელ პირობებში ცხოვრება. ამიტომ იგი კვლავ დიდ გაჭირვებას განიცდის უსახსრობისა გამო. როგორც წინათ მოგახსენეთ, ბევრი სახალხო მასწავლებლები უადგილმამულონი არიან და მარტო ჯამაგირით ცხოვრება შეუძლებელი ხდება, როგორც გაზეთებიდან გავიგეთ, სახალხო განათლების სამინისტროს მხოლოდ 100 მ. დაუნიშნავს თვეში სოფლის მასწავლებლებისათვის. ასე ცოტა ჯამაგირი მის გაჭირვებას ვერ უშველის და იგი ისევე ნახევრად მშიერი რჩება. თუმცა, რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაუწიოთ სახელმწიფოს ფინანსიურ კრიზისს, მაგრამ სასურველი იყო სახალხო მასწავლებელთა მატერიალური მხარეც ცოტათი მაინც გაუმჯობესებულიყო, თუ ეს რა თქმა უნდა შესაძლებელი და მოსახერხებელი იქნებოდა. იმედია სახალხო მასწავლებლის სამართლიან მოთხოვნილებებს აწი მაინც ანგარიშს გაუწევენ.

სხვათა შორის, ქუთაისში მომხდარმა მასწავლებელთა ყრილობამ გამოსთქვა თავისი გაჭირვებანი და მოითხოვა ჯამაგირების მომატება.

ასევე დაადგინეს თფილისის გუბერნიის მასწავლებლებმა, ამ უკანასკნელებმა გაფიცვაც კი მოინდომეს, უკეთუ ჯამაგირებს არ მოუმატებდენ და სხვა.

ყველა დარგის მოსამსახურენი ჯამაგირების მომატებას თხოულობდა მხოლოდ სახალხო მასწავლებლები არიან გაჩუმებულნი.

მასწავლებელთა კავშირიც ჯერჯერობით ერთს შესაფერისად ირჯება, მხედველობაში სახელმწიფოს ფინანსიურ გაჭირვებას ღებულობს და თუ ცოტათი მაინც არ იქნა სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობა ნივთიერათ გაუმჯობესებული, შეიძლება ბოლოს, საქმე გაფიცვამდე მივიდეს.

ა. გორგაძე.

სოც.-დემ. პარტიაში.

ტრაპიზონი. 3 ოქტომბერს მოხდა პარტიის წევრთა საერთო კრება. მოხსენებებს აკეთებს ამხ. ტელიჩეევი დამფუძნებელ კრებაზე და ამხ. ჭედია ტრაპიზონის პ. ორგანიზაციის ექვსი თვის მოღვაწეობის და მ. ს. და გლ. საბჭოს იქ ფრაქციის მუშაობის შესახებ.

ამხ. ტელიჩეევი შეეხო დამფუძნებელ კრების მნიშვნელობას და მასთან ჩვენ დამოკიდებულებას. გაარკვია თუ რა უნდა გააკეთოს დამფუძნებელმა კრებამ და საერთოდ კი რა უნდა მოითხოვოს იქ სოც.-დემ. ფრაქციამ. მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა აირჩიოს განსაკუთრებული კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს არჩევნებს ადგილობრივ კომიტეტთან ერთად. ამ კომისიის არჩევა მიენდო განსაკუთრებულ თათბირს, ყველა „იაჩეიკების“ წარმომადგენლებისას. ამავე დაუკავშირეს სატრანსპორტო კომისიის არჩევა, რომელიც ი. ჭ—[illegible] უნდა გაემგზავროს ფრონტზე [illegible] ნაწილებში და [illegible] შაურები, რომელიც ეხლა ორგანიზაციამ მიიღო. ამავე პირებმა უნდა გასწიოს აგიტაცია ჯარში დამფუძნებელ კრების არჩევნების სასარგებლოთ. ამხ. ჭედიამ ვრცლად დაახასიათა პარტიულ ორგანიზაციის წარმოშობა ტრაპიზონში, მისი მუშაობა და ის დაბრკოლებები, რაც ხელს უშლიდა ჩვენს მუშაობას, საბჭოს მოღვაწეობა და განსაკუთრებით იქ ჩვენი ფრაქციის მუშაობა. ამხ. კვირკველია შეეხო კოალიციის საკითხს, დაგმო ის როგორც ყოვლად შეუფერებელი დღევანდელ მომენტში და განსაკუთრებული ხაზი გაუსვა ბოლშევიკების და მენშევიკების ტაქტიკას. ბოლშევიკების ტაქტიკა ამხანაგს დღევანდელი მომენტის შესაფერ ტაქტიკათ მიაჩნია.

8 ოქტომბერს პირველ რიგში ისმება ჯარის ნაციონალიზაციის საკითხი. ამხ. იოსელიანი მომხრეა ჯარის ნაციონალიზაციის, მხოლოდ ყურადღებას აქცევს ფრონტს და თუ აქ არევ დარევას არ გამოიწვევს, აქაც სასარგებლოთ სცნობს.

ამხ. რამიშვილი, ჭედია, ჭ—შვილი და ბევრი სხვები წინააღმდეგნი არიან ჯარის ნაციონალიზაციის და მიაჩნიათ ასეთი გამოყოფა რევოლუციისთვის მავნებლათ. ამხ. მირ. ჯარში იცავს ჯარის ნაციონალიზაციას და რევოლუციის ერთ საუკეთესო საშუალებათ მიაჩნია.

კრება საერთოდ უარყოფით შეხვდა ჯარის ნაციონალიზაციას და განსაკუთრებით უარჰყო ის ფრონტზე.

10 ოქტომბერს უნდა მოხდეს ქართველი ჯარისკაცების კრება, სადაც ეს აზრი უნდა დაიცვან პარტიის წარმომადგენლებმა, თუ წევრებმა.

7 ოქტომბერს მოხდა ყველა ნაწილების „იაჩეიკების“ წარმომადგენელთა კრება, სადაც გაიმართა თათბირი, თუ როგორ უნდა მოეწყოს ფრონტზე დელეგატების გაგზავნა ლიტერატურის დასარიგებლათ და საგიტაციოთ. დაასახელეს 20 მდე ამხანაგი, რომლებისთვისაც ყოველ დღე, ერთი კვირის განმავლობაში დაახლოვებით გაიმართება კლუბში საუბარი, იმ კითხვების გარშემო, რომელიც მათ მოუხდებათ გასაშუქებლათ.

საარჩევნო კომისიის არჩევა თათბირმა მიანდო ადგილობრივ კომიტეტს. აირჩიეს საექსპედიციო კომისია სამი კაცისაგან, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს გაზ. „ნაშ პუტ“-ის გზავნა-გავრცელებას. პარტიული მუშაობა გაცხოველდა, ამხ. ჯარისკაცები, განსაკუთრებით რუსები ცხოველ მონაწილეობას ღებულობენ პარტიულ მუშაობაში და მეტი დაინტერესებული არიან.

ივ. ე—ძე.

მუშათა შორის.

თფილისი. 8 ოქტომბერს თფილისის საკრებულოს საზაფხულო შენობაში მოხდა თფილისის მექუდეთა საქმის პროფესიონალურ კავშირის წევრთა წინა კრების გაგრძელება. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) ტარიფი, 2) გაფიცვის ფონდის დაარსება, 3) რწმუნებულთა საბჭოსთვის ინსტრუქციის შემუშავება და 4) მიმდინარე საკითხები. კრებამ მთელი სხდომა მოანდომა გამგეობის მიერ შემუშავებულ ტარიფის განხილვას. ტარიფი ეხება როგორც ფინანსიურ მხარეს, ისე პოლიტიკურსა და ჰიგიენურს. გამომუშავებულ ტარიფის ძალით პირველი „სმენისთვის“ სამუშაო დღე 8 საათია, მეორესთვის—7 საათი და მესამესთვის, თუ კი ასეთი იქნება,—6 საათი დღე და ღამეში. აკრძალულია ზედმეტი საათების მუშაობა თუ კავშირიდან განსაკუთრებული ნებართვა არ ექნება მწარმოებელს. შეგირდს იყვანს მწარმოებელი სამი წლის ვადით და პირველათ უნიშნავს თვეში 50 მან. და შემდეგ ყოველ სამ თვეში უნდა მოუმატოს თითო თუმანი. შეგირდს უნდა ასწავლიდეს სპეციალურათ მისთვის დანიშნული კაცი. აკრძალულია შეგირდისთვის ღამე მუშაობა და სხვა საქმის კეთება, როგორც მაგალითათ იატაკის გაწმენდა, „ნაბორის“ გარეცხვა და სხვ. ამისთვის უნდა ჰყავდეს დაქირავებული მუშები საგანგებოთ. დაწესებულებაში მომუშავენი თავიანთ შორის ირჩევენ, ავტონომიურ კომისიას, რომლის კანონიერათ ცნობა მწარმოებელსაც ევალება და რომელიც მოქმედებს კავშირის მიერ გამომუშავებულ წესდების თანახმად. მან უნდა თვალ-ყური ადევნოს როგორც ჰიგიენურ პირობებს, ისე ჯამაგირების განაწილებას და მუშის დათხოვნა-მიღების საქმეს. უკანონოთ დათხოვნილ მუშისათვის, ანდა წარმოების ლიკვიდაციის დროს, მწარმოებელმა კავშირში უნდა წარმოადგინოს სამი თვის მუშის ხელფასი. უკეთუ დათხოვნილი მუშა თავს ანებებს სამუშაოს, ანდა სხვა ქალაქში ან სოფელში მიდის, იმ შემთხვევაში კავშირი მას აძლევს სრულს 3 თვის ჯამაგირს, რომელიც მწარმოებელმა მას გადასცა. უკეთუ მუშამ რამოდენიმე დღის შემდეგ დაიწყო მუშაობა, მაშინ მას კავშირი აძლევს გაცდენილი დღეების ხელფასს და დანარჩენი დარჩება კავშირის სასარგებლოთ. ამ მუხლის ამ ფორმით გადაწყვეტით, ბევრმა ამხანაგებმა თავისი ინტერესების შელახვა დაინახეს და პროტესტის ნიშნათ სხდომაც კი დასტოვეს. ასეთი „ამხანაგები“ უფრო საკუთარი ჯიბისთვის იბრძვიან, ვინემ საერთო

ინტერესებისათვის. გარდა ამისა უკვე დღეების რიცხვი დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმების გამომუშავებამდე რჩება იმ ფორმებში, როგორიც აქამდე იყო, ცოტაოდენის შესწორებით. მეტრანპაჟებსა დ სტამბის მეთვალყურეებს ირჩევენ სტამბაში მომუშავენი ერთის წლის ვადით, უკეთუ არჩეულები ვერ სდგანან თავის სიმაღლეზე, მაშინ მუშებს უფლება აქვთ ერთი წლის შესრულებამდე მოახდინონ ხელახალი არჩევნები. ასევე ხდება ლიტოგრაფიებშიაც. მუშის დათხოვნა მიდევს ხდება კავშირის საშუალებით. ის მუშა, რომელიც სამს დღეს ზედი-ზედ გააცდენს უმიზეზოდ, ანდა თვეში 6 დღეს, დათხოვნილ იქნება და ვერც სამი თვის ჯამაგირსაც მიიღებს. ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად შემუშავებულია შემდეგი წესი: იატაკი უნდა იწმინდებოდეს კვირაში ერთხელ აუცილებლად, მწარმოებელს ევალება თავის საწარმოო დარგში მუდამ დღე ჰქონდეს ადუღებული წყალი, რომ მუშებმა სურვილისამებრ ჩაით ისარგებლონ. უნდა ჰქონდეს სამ კაცზე თითო ხელსახოცი, რომელიც კვირაში ერთხელ უნდა ირეცხებოდეს, ტანისამოსის შესანახი შკაფი, ვენტილიაცია შენობის სივრცის და მიხედვით და სხვა. ჯამაგირების რაოდენობა შემდეგია: მეტრანპაჟს 270 მ., პირველ კატეგორიის მომუშავეებს 260 მ., მეორე კატეგორიის მომუშავეებს 240 მ., მესამე კატეგორიის მომუშავეებს 220 მ. იმ ამხანაგებს, რომელთაც მეტი ჯამაგირი აქვს, მწარმოებელს ნება არა აქვს დაუკლოს. დასახლეტებისას ასეთივე ჯამაგირები არის „მაშინაზე" მომუშავეებისათვისაც გარდა „ვერტელჩიკისა" და „ნაკლადჩიკებისა". რაც შეეხება ლიტოგრაფებს, იქ პირველ კატეგორიის მუშებს ეძლევათ 300 მ. და დანარჩენებს თანდათანობითი ნაკლები. გარდა ამისა ლიტოგრაფიებში ბრონზაზე მომუშავეებმა მწარმოებლის ხარჯზე უნდა მიიღონ დღეში ერთი ბოთლი რძე, ხალათი და ხალათის გარეცხვის.

ტარიფს ვადა აქვს 29 დეკემბრამდე. უკეთუ ზემოხსენებულ დრომდე სიძვირემ ჩქარის ნაბიჯით იმატა, იმ შემთხვევაში კავშირი უფლებას იტოვებს ზემოხსენებულ დრომდე გადასინჯოს ტარიფი და შეიტანოს შიგ შესაფერი შესწორებანი.

ამ მოთხოვნილებების მწარმოებლებისათვის დაუზავნა დაევალა კავშირის გამგეობას, რომელიც ამ მოკლე ხანში შეუდგება მის სისრულეში მოყვანას. ტარიფი ძალაში შედის 1 ოქტომბრიდან. ყველა ამხანაგის ვალია ხელი შეუწყოს კავშირს მის განხორციელებისათვის, და უკეთუ ვაფიცავ აუცილებელი დარჩა, მტკიცეთ დაიცვას ის.

იძულებული ვარ კიდევ შევეხო ამხანაგების გულგრილობას, რაც გამოიხატება საერთო კრებებზე დაუსწრებლობაში და უინტერესობაში. ჩვენს კავშირს 1200 ნამდვილი წევრი ჰყავს და ამათგან კრებაზე გამოცხადდა მხოლოდ ორასი კაცი და ამათ უმრავლესობამაც ერთი საათი არ მოუცადა კრებაზე და ამავე დროს იქვე ბაღში უდარდელად დასეირნობდენ. მეტი ენერგია საჭიროა, რომ მომავალ მოსალოდნელ უბედურობას მომზადებული შევხვდეთ.

ხ. ცხემლისხიძე.

ლაზარეთი № 11

ქალაქთა კავშირის ლაზარეთებში მომხდარი უწესოების შესახებ არა ერთხელ ყოფილა ცნობები გაზეთებში მოთავსებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ყურადღება ნაკლებად ექცეოდა ასეთ განცხადებებს, რის შედეგიც გახდა ამჟამად ძარცვა გლეჯა.

ახალი მინისტრ-მოქმედების ბევრ ალაგას ჰქონდა ადგილი და თავის დროზე კიდევ ქადაგებდნენ, მაგალითად განმანაწილებელ პუნქტში სისტემატიური ძარცვის გამო, 23 ლაზარეთში სპირტის გარეშე ყალბი საბუთებით მუშაობა, თვით ხელმძღვანელ კომიტეტის კანცელარიაში ავადმყოფთა ტანისამოსის გარეშე მოხდარი უწესოება, რომელიც ყველა ახლო მდგომი პირისთვის თვალდანახული და აღმაშფოთებელი იყო და სხ.

მაგრამ, ყველა ასეთ ამბებს ძველი წესწყობილების დროს რაღაც მანქანებით ერთნაირი მფარველობა ეძლეოდა და ყოველნაირი გამოძიებები—როგორც კონტროლიორების აქტების შედეგნა, ისე გაზეთების ცნობები, რჩებოდა უპასუხოთ.

ახალი წყობილების დამყარების შემდეგ ელოდა იქნა გაუქმებული რუსულ უძველესი ორგანიზაციებიდან წარმომადგენლები, რომლებიც მოითხოვდნენ სხვა კომისიათა შორის საკონტროლო კომისიის შედგენა და „ვიწმინდა" წაეღო ლაზარეთების არა ნასურველი ელემენტებისაგან,—მაგრამ ვერც ასეთი საშუალებით მიაღწიეს მიზანს.

ეხლა კი, როდესაც ხალხი საშინელ სასურსათო კრიზისს განიცდის, როდესაც ოჯახიც დასატუსული ავადმყოფები სანახევროდ ვერ ღებულობენ კუთვნილ საჭმელ სასმელს, ამ დროს, მე-11 ლაზარეთში კვლავ გრძელდება „ნაცადი საშუალებით" ავადმყოფებისთვის სანოვაგის ზომის შემცირება, ამ სახით სხვადასხვა სანოვაგის დაგროვება, ლაზარეთიდან გატანა და გაყიდვა.

ამ დღეებში აქ მოსამსახურე ეკონომმა ჯ. პანტურიამ და მზარეულის თანაშემწემ ლორიამ გაატანეს „ლორიას" 3 ფუთი შაქარი, 2 ფუთი ბრინჯი, ვერმიშელი, მაკარონი და სხვ., რომელიც იქვე ახლოს იქნა დაჭერილი. როგორც იტყვიან, ასეთი მოვლენა პირველი არ არის და მათთან ერთად სხვებსაც აქვთ დამოკიდებულება.

ასეთ ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ აქაურმა, ზოგმა ვითომცდა სოციალისტებმა, რამოდენიმე დღეში მისცეს საშუალება ამ აშკარა ქურდებს, თავდების და ნაცნობების შემწეობით განთავისუფლებულიყვნენ და იმავე ლაზარეთში წარბ-შეუხრელათ დასეირნობენ, რასაც დანარჩენ მოსამსახურეებზე ცუდი შთაბეჭდილება ახდენს.

ძრიელ საჭიროა და აუცილებელიც ამ მოვლენას მიაქციონ ყურადღება საერთო მოსამსახურეების საბჭო, გამოიკვლიონ როგორც ამ მინისტრ-მოქმედებას, აგრეთვე გადასინჯონ წარსულ მინისტრ-მოქმედებებს, გამოაშკარავებენ „ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს" და მით გაწმენდონ საზოგადოთ მოსამსახურეებს არსებულ „ჭუჭყისაგან".

ახ—ბელი.

ჯარის-კაცთა წერილები.

ქართულ ცხენოსან პოლკის მეორე მგზავრი ესკადრონის ჯარისკაცისაგან.

გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

კავკავში 24 სექტემბერს ჩამოვიდნენ ჩვენთან, მეორე მგზავრი ესკადრონში ქართულ ცხენოსან პოლკისა. პოლკის დელეგატის სახელით თავადი თოფურიძის და იტონიევის განკარგულებით მოხდა კრება.

კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია კახნიაშვილი, რომელმაც პირველი სიტყვა მისცა დელეგატს ალექსანდრე თოფურიძეს; თოფურიძემ განაცხადა, რომ ჩვენმა ცხენოსანმა პოლკმა მიიღო სახელმწიფოთა უფროსებისა აუცილებელი სალამის მიცემა (отданіе чести) და წოდება „ქვენი კეთილშობილება" და თქვენი ბრწყინვალება, რადგანაც, შენიშნა მან თავის სიტყვაში, ბატონი პოლკოვნიკი (господинъ полковникъ), ეს შეურაცყოფა არისო, ეს ლაქიებისა და „დენჩიკების" საქმე არისო და ამიტომ ვისაც გული დაემორჩილოს ამ დადგენილებას, ნება ექნება იყოს პოლკში და ვისაც არა, მას პოლკში ადგილი არ ექნებაო.

ამხ. ჩირგილაშვილმა (თავმჯდომარე რაზმის კომიტეტისა და დელეგატი საბჭოში) ილაპარაკა წინააღმდეგ ასეთი დადგენილებისა და შეეკითხა თოფურიძეს: გაქვთ თუ არა თქვენ საბუთი პოლკიდან დელეგატობისა. ეს შეკითხვა თოფურიძემ საწყენათ მიიღო და განაცხადა: სანამ სიტყვას მომცემდით, საბუთები უნდა მოგეთხოვათ და ახლა საბუთების მოთხოვნა ეს ჩემთვის სილის გაწვა არისო და სთქვა: ამის შემდეგ მე თქვენთან ლაპარაკიც არ მსურსო და დაემუქრა: ან შენ უნდა იყო ამ პოლკში, ან მეო. უცნობი დელეგატის მოქცევამ ყველა გააკვირვა, საჩხუბარი ხომ არ მოსულა აქო. მეორე დელეგატმა იტონიევმა დაამტკიცა, რომ, მართალია პოლკის დადგენილება ისეთია, როგორც მოგახსენათ ამხ. თოფურიძემ და მოგვთხოვა პასუხი: ემორჩილებით თუ არაო.

მე ვუპასუხე, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენ ვემორჩილებით დროებით მთავრობის სახელით წესებს პეტროგრადიდან და სანამდე ვემორჩილებით მას, ცალკე კანონების გამოცემა არ უნდა იყოს დასაშვები. პასუხის მიცემა გადავდევით ხვალამდე, ხვალ მოვიწვიოთ ორი ამხანაგი მუშათა და სალდათთა საბჭოდან და რაკი გავიგებთ იმათ აზრსა, მერმე შეგვეძლება ვუპასუხოთ დელეგატებსო.

დელეგატები თოფურიძე-იტონიევი და ესკადრონის უფროსი ერისთავი წინააღმდეგ წავიდნენ. ამბობდნენ: ეგ ჩვენი შინაური საქმეა და გარეშე რუსებს აქ ადგილი არა უნდა ჰქონდესო. მათ ზარი დაუკრეს „ვოლნოპრედლეიტურებმა", რომელთა რიცხვი ოცდა ხუთზე მეტია რაზმში. კრების უმრავლესობამ მაინც მიიღო, რომ დანიშნულიყო კრება 25-ში და მოეწვიათ ამხანაგები სალდათების საბჭოსაგან.

თურმე ნუ იტყვით, ამ დადგენილებას აუდგენია ჩვენი ესკადრონის უფროსი ერისთავი და პოლკის უფროსი პოდპოლკოვნიკი ამილახვარი და გამოსცეს ფიცხელი განკარგულება: დათხოვნილია ჩირგილაშვილი და ქოთავა პოლკიდან და გაგზავნეთ „ვოინსკი ნაჩალნიკთანო".

მაგრამ 25-ში ჩვენ კრებას მაინც დავესწარით. არჩეულ იქნა თავმჯდომარეთ მაღლაკელიძე, კრებას დაესწრენ ვლადიკავკასიის სალდ. საბჭოს ამხანაგები: სალდათები ზულანოვი, ესაძე და ჯაფარიძე. კრებას პოლკიდან მოსული ამხანაგები თოფურიძე და იტონიევი არ დაესწრენ, სხვათა შორის დაისვა კითხვა ჩირგილაშვილის და ჩემი განდევნის შესახებ, კრებამ ხმის უმრავლესობით გადასწყვიტა ჩვენი დარჩენა. მაგრამ 26-ში, მიუხედავათ ამისა, „კომანდირმა" ერისთავმა მოითხოვა თავ. ამილახვრის „პრიკაზის" ძალით ჩვენი განდევნა. ამის შესახებ მივმართეთ სამხედრო კომისარს, რომელმაც ჩვენი საქმე გადასცა თფილისის „კრაევოი სოვეტს".

დელეგატები როგორც გავიგეთ, ვლადიკავკაზის „სოვეტში" არ გამოცხადებულან და არც ჩვენი ესკადრონის კომიტეტისთვის არავითარი საბუთი არ უჩვენებიათ და დღემდე კი არ ვიცით მართლა იყვნენ პოლკიდან გამოგზავნილნი, თუ არა. ამიტომ ვთხოვთ ქართულ ცხენოსან პოლკის „კომიტეტს" გვაცნობონ გაზეთის საშუალებით, თუ რა დაავალეს თავიანთ დელეგატებს თოფურიძეს და იტონიევს, რაც გამოგზავნეს ჩვენთან. ჩვენი საქმე ჯერ არ გარჩეულა.

ქართული პოლკიდან გამორიცხული ჯარის კაცი ივანე ზურაბის ძე ქოთავა.

კიდევ თვით-გასამართლება

ჯიბგირების და მესპირტეების საყურადღებოთ. 10 ოქტომბერს თფილისის რკინის გზის სადგურზე დიდი სამწუხარო ამბები დატრიალდა. ვიღაც ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილმა ბიჭმა გახოკიამ ამოაცალა ერთ მოხუცებულ ქალს ას-ორმოცდა ათი მანეთი, რომელმაც ქალმა გაიგო, რომ მისთვის ფული ამოუცლიათ.—მორთო რკინის გზის ბაქანზე ივილ-ტირილი და მოთქმა, იმ წამსვე გაჩნდა აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ამხ. კოსტა მეგლაძე და დაატუსაღა გახოკია. მიიყვანა თუ არა აღმასრულებელ კომიტეტის სადგურის კარებთან მგზავრმა სალდათებმა შემოარტყეს ალყა სადგურს და დაუწყეს ცემა. ყვიროდენ სალდათები: აქვე ჩავქოლოთ, თორემ ხვალვე განთავისუფლებენო. გაიგონა თუ არა ეს ჯარისკაცმა გახოკიამ, რომ მისი სიკვდილი აუცილებელი იყო, მოიკრიბა ძალღონე და გაიქცა. დაედევნენ ჯარისკაცები და დაიჭირეს ბორჯომის ვიწრო ქუჩაზე და დაიწყეს თვით-გასამართლება, ამ დროს მოვიდა გაზეთის კომისარი ამხ. შარაშიძე მან მიმართა ჯარისკაცებს, რომ თვითგასამართლება არის ველურობა, რომელიც ჩირქს მისცხებს გამსამართლებლებს და არც შეშვენის ეს თავისუფალ მოქალაქესო, მაგრამ ჯარისკაცებზე არავითარმა აღელვებამ, არავითარმა მუდარამ არ გასჭრა და განაგრძობდენ ცემას. ამას მოემატა კიდევ ახალი ჯარისკაცები და ცოცხალ-მკვდარს ქვებით და კეტებით უჩიჩქნავდენ თავ პირს. ხალხზე ამ საშინელმა გასამართლებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ნათქვამია—„ძალა აღმართსა ხნავსო" და რა ზომა უნდა მიეღო უიარაღო ხალხს. ჯარისკაცებმა იყვირეს: გაჩერდით, თორემ სადგურს დავანგრევთო. გახოკია იქვე გარდაიცვალა და გაგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში.

არ იქნა და არ მოელო ბოლო ამ თავგაშვებულ ქურდობას, ჯიბგირობას და „სპირტის" გადაზიდვას. მათზე არ გასჭრა არც ხვეწნამ, არც პრესამ და არც თვითგასამართლებამ. დროა შეჩერდეთ ნაძირალებო! დროა ეს გამათახსირებელი ზნე-ჩვეულება უარყოთ, თორემ ხომ ხედავთ რა ამბები ხდება!

სალჩანი.

პროვინციის ცხოვრება

სოფ. ბაშლეეთი (გურია). ამ პატარა სოფელს აქვს თავის საკუთარი სკოლა, კოოპერატივი, წვრილი კრედიტის ბანკი და ახლად დაარსებული სამკითხველო. სოფ. ბაშლეეთს ირგვლივ აკრავს მთა-გორიანი ადგილები, რომელშიაც მიმოსვლა ამ დრომდე გასაჭირი იყო, მაგრამ ხალხმა დიდი შრომის შემდეგ გაიყვანა საურმე ფართო გზა, რომელიც ითავეს აქაურმა მოწინავე პირებმა. რასაკვირველია, ინტრიგანები და საზოგადო საქმის ხელის შემშლელნი აქაც მოიპოვებიან, მაგრამ შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა ღირსეულ პასუხს აძლევს. ამ რამდენიმე წლის წინათ ბარ. მგალობლიშვილის ინიციატივით მოწვეულ იქნა ამ სოფლის მცხოვრებლების კრება. მგალობლიშვილმა ხალხს გააცნო თუ რა მავნებლობა და ზარალი მოაქვს ქელეხის გამართვას ტირილის დროს და მოუწოდა ხალხს დაედგინა განაჩენი და ეს საზარალო ზნე-ჩვეულება უარეყოთ. შეგნებულმა ნაწილმა ამ ამხანაგის მართებულ აზრს ანგარიში გაუწია და ერთხმათ დაადგინა უარეყოთ ტირილის დღეს ქელეხი. ეს დადგენილება ხალხმა ცხოვრებაში გაატარა, რამაც დიდი ალელვება გამოიწვია იქვე მღვდლის და მისი მეუღლის მხრით. მღვდლის მეუღლემ ხატებსაც კი მიმართა, რომ ამის ინიციატორი აღგავა დედამიწის ზურგიდან, რაც სასწაული იქნებოდა მათი აზრით, მთელი გურიისთვის. ცოლქმარს გვერდში ამოუდგა ყველასაგან ცნობილი ვაჭ. კაკილაძე, რომლების მეშვეობით და გამოსვლებმა ნაყოფი ვერ გამოიღო, ეს ვაჟბატონები დღესაც არ ცხრებიან და ათასნაირ ჭორებს ავრცელებენ განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. ცილს სწამებენ არჩეულ და მოწინავე პირებს, რომ საზოგადოებაში სახელი გაუტეხონ და ჩირქი მოსცხონ. ბაშლეეთის მცხოვრებნი ვალდებული არიან თვალ ყური ადევნონ მათ მავნებლურ გამოსვლებს და ალაგმონ. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზოგიერთი ვაჟბატონების უწესო საქციელი. ლუქნებზე იყრიან თავს ზოგიერთი ახალგაზრდები ტაქვიფსა და სროლაში ღამეებს ატარებენ. დროა ამ ვაჟბატონებმა თავი დაანებონ ამ სამარცხვინო ხელობას, თორემ ხალხი მათ ღირსეულ პასუხს მოსთხოვს.

ყათირი.

სამარა. შემოდგომის ქარცეცხლში ჩამხუმული გლეხები, არც რევოლიუციის საკითხებს ადევნებენ ყურადღებით, პირიქით, ამ საკითხს პირველ რიგში აყენებენ. დღემდის თუ დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა არც კი გაეგებოდათ, დღეს ყველას ის ენაზე აკერია და ტოლის მის მოწვევას. ხომ ჩვენი წვრილფეხი-ხნელი გვილენ ისეთ, პირზე ღიმილით მეკითხებიან გლეხები.

ომიდან და არეულ მუშაობიდან შეწუხებული, გულდაკოდილი და ხელებ დაკოჟრილი გლეხის დამპყრობ-დაჩაგრულ პირის სახეზე ბრწყინვალე იმედი ელვარებს. ყოველივე გაჭირვებას გადავიტანთ, ოღონდ ძველი ნუღარ დაბრუნდებაო. ამბობენ სხვათა შორის. მიწის საკითხით ზედმიწევნით არიან დაინტერესებული, რამოდენიმეჯერ იყვნენ მათ, რომ მიწის საკითხის შესახებ ორი აზრი არსებობს. „ბევრი რამეს შევხვდებით დამფუძნებელ კრებას, მაგრამ მიწის საკითხი თუ ისე გადაწყდა, როგორც ფედერალისტები თხოულობენ, ეს ჩვენი ინტერესების დაბეჩავება-დაჩაგვრა იქნებაო".

აქ ქონდა ადგილი სამწუხარო მოვლენებს. დამუშავებული ადგილები ზოგმა სამსამჯერ დაიყვეს, ზოგმაც სანახევროდ. თუმცა ძალადობას ადგილი არ ქონდა, მაგრამ რევოლიუციის წესების ძალით უნდა სამსამჯერ დაყოფილიყო, მაგრამ ასე არ მოიქცა ბ. ბ. საყვარელიძე და მიიღო ნახევარი მომუშავე გლეხისაგან, ამისთვის კომიტეტებს ყურადღება უნდა მიექცია და შემოეღო საერთო წესი გაზიარებულ მიწებზე ყოველივე ეჭვცასების თავიდან ასაშორებლად.

ქვედა საქარის სამკითხველოს საქმე ადგილობრივი ინტელიგენციის დახმარებით კარგათ მიდის. მკითხველები წელს ბევრი ყოფილა. საერთოდ ეს სამკითხველო, თუმცა ღარიბია, მაგრამ მაინც სარგებლობა მოაქვს.

ამ წლის მოსავლის შესახებ ჯერ თუმცა არ დათვლებულა, მაგრამ უკვე ირკვევა, რომ წინა წლისას ცოტათი სჯობია. სიმინდის მოსავალმა კარგათ დასჯაბნა შარშანდელი მოსავალი, ხოლო ღვინომ, რაც ჩვენებური გლეხებისათვის საიმედო წყაროა, ძლიერ იკლო. ამ უკანასკნელ დროს, როცა ყურძენი მწიფდებოდა დანაცრული ნახევარზე მეტი გახმა.

ხაჭარელი მ.

ართვინის ოლქი. ართვინის რაიონში ამ ჟამათ სრული სიმშვიდეა. აქ ადგილი არა აქვს მკვლელობას, ქურდობას და სხვა ასეთ გამოსვლებს. ომის გამო შორს გადახვეწილი ხალხი თანდათან უბრუნდება მიტოვებულ და დანგრეულ სახლ-კარს. ჯერჯერობით ამათ შესაფერი დახმარება ეძლევათ სანოვაგის სახით სხვადასხვა საზოგადოებებიდან. საერთოთ ხალხი ძლიერ კმაყოფილია ქართველებისაგან. თუ სადმე ზოგიერთი სახლ-კარი გადარჩა ჩვენში, ამბობენ, ეს მხოლოდ ქართველი ჯარისკაცების წყალობითაო. ართვინის ქალაქის არჩევნები უკვე დასრულდა. ხმოსნების უმრავლესობას დაშნაკლები შეადგენენ. ქალაქის თავათ მოიწვიეს ბათუმში მოსამსახურე, მეჯლისის მდივანი პეტროსიანი.

დამფუძნებელ კრების არჩევნების ინსტრუქტორათ დანიშნულმა აგრონომმა ე. რამიშვილმა საარჩევნო სიები დაამზადა და უკვე გაგზავნილია მთელი ოლქის ყველა კუთხეებში.

ბ. მეგრელიძე.

დაგვიანებული ცნობა ბახმარის ამხანაგებს.

მე მქონდა დავალებული ბახმაროს ამხანაგების მიერ გამომეცხადებინა გაზეთში იქაური საკულტურო კომისიის მოღვაწეობა მოკლედ და ანგარიშები. ეს დღემდე არ მოხერხდა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

ეხლა მოვალეთ ვთვლი თავს ვაცნობო ამხანაგებს და საზოგადოებას შემდეგი: წელს, გასულ სეზონში, აგარაკ ბახმაროზე, შეიკრიბენ მოწინავე ამხანაგები, გურიის ორგანიზაციის წარმომადგენლის ინიციატივით. სხვა კითხვათა შორის ამხანაგებმა მიაქციეს ყურადღება მოაგარაკეთა სულიერ და გონებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, აგრეთვე პარტიული საქმეებისათვის ფულის საჭიროებას. ამ მიზნით აირჩიეს თავიანთ შორის საკულტურო კომისია, 7 კაცისაგან შემდგარი: ამხ. ქ-ნ პელო ქარციცაძე, გრიშა მახარაძე, ზაქრო წულაძე, მიხეილ რამიშვილი, მიხაკო ბაღუაშვილი, ნიკიტა ჩიჩუა და ნესტორ ჩხიკვაძე. კომისიას დავალებული ჰქონდა მთელი სეზონის განმავლობაში ემუშავნა. კომისია შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. მოელაპარაკა ბახმაროს გამგეობას თეატრის დარბაზის შესახებ და შეიქმნა კიდევ, შეკრიბა სცენის მოყვარეები ამხ. ქ-ნი პელო ქარციცაძის გარშემო, რომელიც დაუზარელათ მუშაობდა სეზონის გათავებამდე, რითაც მიიქცია საზოგადოების ყურადღება და დაიმსახურა მისი სიყვარული.

სიამოვნებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სცენის მოყვარეები, რომელთაც არ დაუზოგავთ თავიანთი ცოდნა, შეძლება და ენერგია ამ სიმპატიური მიზნის სამსახურისათვის, არც ერთს არავითარი სასყიდელი არ აუღია.

კომისიის ხელმძღვანელობით დაიდგა სულ 5 წარმოდგენა და მოეწყო ერთი ლექცია. ლექცია წაიკითხა ამხ. ნიკო მგელაძემ: „გზა სოციალიზმისაკენ". დარჩა სულ 1514 მანეთი. ეს ფულები კომისიამ ასე გაანაწილა: 338 მ. ბახმაროს გამგეობას; 350 მანეთი საარჩევნო ფონდს; 300 მანეთი პარტიულ სტამბის ფონდს; 326 მანეთი გურიის ორგანიზაციას და 200 მანეთი ერთ ავადმყოფ ამხანაგს. დიდი მადლობის ღირსია, როგორც სცენის მოყვარეები, ისე კომისია და ის პირებიც, რომლებიც მას ეხმარებოდენ ამ საქმეში.

კომისიის მონდობ. ნეს. ჩხიკვაძე.

ანგარიში

მეოთხე რაიონულ კოლექტივის რ. ს.-დ. მ. პ. დღიდან დაარსებისა 1-ლ ოქტომბრამდე.

შემოსავალი:

1) შესავალი [illegible]	445—00
2) საწევრო „	2213—00
3) სხვა და სხვა საკვეტ. წიგნაკებით	370—00
4) შემოწირულება	12—10
5) დარბაზით სარგებლობისათვის	85—58
6) წიგნების გაყიდვიდან	16—00
7) ბრალშიურები	1—00
ჯამი	3142—98

გასავალი:

1) ჯამაგირი მდივანს 4 თვის	600—00
2) კლუბის მოსამსახურეებს	452—00
3) ელექტრონის სინათლე	63—75
4) კანცელარიის მოწყობილობა	53—25
5) დროშა	4—20
6) „ლეტუჩკები"	15—00
7) არჩევნების საჭიროებანი	4—00
8) საკანცელარიო წიგნები	6—95
9) ბეჭედი	10—00
10) დაუბრუნებელ კვიტანციებისა	10—00
11) ჩეკები	5—40
12) სარეგისტრაციო წიგნი	8—00
13) ავადმყოფ მუშებისათვის	10—00
14) „ კლუბის სკამებისათვის	100—00
15) თფილ. კომ. რ. ს.-დ. მ. პ. %%	500—00
ჯამი	1842—55
რჩება კასაში 1 ლ ოქტომბრისათვის	1300—43

თავმჯდომარე რ. აუშტროვი.

წერილები რედაქციის მიმართ

„ერთობის" № 140 ნომერში მოთავსებულია ილია გაგანიძის წერილი, რომლითაც ოთხიოდ კაცის მიზეზით ნაძირალებათ გვნათლავს სუყველა აჯაკაშვილის ტელეგრაფისტებს. მართალს ბრძანებთ, რომ ბევრი ჩვენგანი ჯერჯერობით პარტიებს არ ეკუთვნის, მაგრამ ამასთანავე საჭიროთ მიგვაჩნია ჯერ ყველა პარტიებს დაწვრილებით გავეცნოთ და რაც შეიძლება სულ მალე, სრულიად შეგნებულად ჩავეწეროთ პარტიის წევრებათ.

ვ. ფხაკაძე.

ჩვენი ფოსტა.

მ. ცეკვაშვილს—ვერით დანარჩენს.

კბილის ექიმი
მამულაიშვილი-ხოდნევისა
განახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლღის ქ. № 22.

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გარის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ხან. შერიფის მირზოევის, სახ. [illegible]. ტელეფონი № 5—77

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.
ქუჩინსკის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] 15—00.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტფილისის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველდღე —5 საათამდე, [illegible], რამზავის ქუჩა, № 19.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდე. გუნიბის ქ. № 41.

კანტორა
„განათლება"
უგზავნის თავის აგენტებს შემდეგ ჟურნალ-გაზეთებს: „ერთობას", „ეშ. მათრახს", „Борьба"-ს, „სახალხო საქმეს", „საქართველოს", „ალიონს", „Кавк. Рабочій"-ს, „ბრძოლას", „სოფლის მუშას", „Республика"-ს, „თეატრი და ცხოვრებას", „ფიქრს", „კავშირს" და ყველა ახლად გამოსულ ქართულ გაზეთებს და წიგნებს.
კანტორაში არის გასაყიდი კანტორის გამოცემა ნ. რამიშვილის ცნობილი წიგნა „ისტორიული მატერიალიზმი", ს. დ. მოღვაწენი საქართველოში, ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ტარიელ გოლუა", პეტროგრადიდან მიღებული სხ. და სხ. ნაირი თანამედროვე დიდძალი ლიტერატურა და ყველა გამოცემა ადგილობრივი ორგანიზაციების ქართულ-რუსული. ნისიად გაზეთები და წიგნები არავის არ გაეგზავნება. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ.